

იპსი +

ყოველთვიური ჟურნალი მზღლუღული მესაძლებლობის მძინე პირებისათვის
№ 4 (52) აბრილი 2015წ.

ვულოცავთ ნარმატიბას

ქეთის
და

თემოს

ახლახანს, ე. ასტანაში ჩატარდა ევლით
მოსარგებლეთა სპორტული ცეკვების
II საერთაშორისო ტურნირი, სადაც
პირველად აღნიშნული სპორტის ისტორიაში
იანმარეშეს ქართველმა სპორტსმენებმა
ქეთევან ზახანაშვილმა და თემურ არაბიძემ
და მოიპოვეს ვერცხლის მედლები
(კატეგორია კომბი ფრისტაილი)

სრულიად საქართველოს ღვთისმშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ოფისში მისივე თაოსნობით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ინკლუზიური განათლება“, რომელიც ჩაატარა „მაკლენის ასოციაციამ ბავშვებისათვის“ (მაკ-ი). ტრენინგში ჩართულნი იყვნენ სრულიად საქართველოს ღვთისმშვილთა კავშირის პროექტების მართვის ჯგუფის წევრები და პერსონალი, სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრის „მომავალი“-ს გამგეობის წევრები და კასპის მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვთა და მოზარდთათვის სოციალური სერვისის მიწოდებისათვის შერჩეული პერსონალი, გურჯაანის და კავშირი ახალი ნაბიჯები“-ს შშმ პირთა დღის ცენტრების წარმომადგენლები, თემით დაინტერესებულ პედაგოგთა და ჟურნალისტთა ჯგუფი. ტრენინგმა ჩაიარა საინტერესოდ, რითაც მსმენელებმა მრავალი ინფორმაცია მიიღეს განხილული თემის და დასმული კითხვების ირგვლივ. ბოლოს მსმენელებს გადაეცათ სერთიფიკატები.



ISSN1987-7161
977198771600

მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 5887
info.imediplus@gmail.com

რედაქტორის მოადგილე

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

ღიზინერი

სოფო ტარყაშვილი
592 534466

გამომცემელი

კავშირი „იმედი პლიუსი“

საკონტაქტო ინფორმაცია

ზ.ფალიაშვილის № 47^ა
მე-2 სადარბ. ბ 12
+995 2 25 28 81
+995 2 25 28 83
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

ინიციატივა შშმ პირთა განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის 2

თბილისის მერიამ უსინათლოთა კავშირს პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა2

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა 485 493 ლარის დაფინანსება გასცა4

თბილისის მუნიციპალიტეტისთვის პიბრიდული ავტობუსების შექმნა იგეგმება4

მთისა და ზღვის კურორტებზე 1 550 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი დაისვენებს5

პრემიერ-მინისტრი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამალგების საერთაშორისო დღეს გამოეხმაურა6

გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ6

სოციალურად დაუცველთა ქულების დათვლის ახალი სატესტო სისტემა ხვალიდან ამოქმედდება7

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს 112 ახალ სერვისს სთავაზობს7

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა საკითხებზე მომუშავე საბჭო თბილისის მერიაში8

ცვლილებები შშმ პირთა დახმარების პროგრამებში9

ჯანდაცვის სამინისტრო: დღეისათვის კერძო ბიზნესში მხოლოდ 20 შშმ პირია დასაქმებული10

სენსორული დარღვევები10

ცეკვა, როგორც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და სხვა დარღვეული ფუნქციური სისტემების აღდგენის სტიმულიატორი12

თავშესაფარი13

ფიქრები რომელიც მან უხებს.....15

მიეძღვნა აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს.....15

იმედით სავსე დღე17

დაუნის სინდრომი.....19

„ამ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ და რაც უფრო მეტი ადამიანი იზრუნებს მათზე, უკეთესი იქნება...“20

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა23

ცხოვრება ბარიერების გარეშე24

რატომ მოატყუა უეტლოდ დარჩენილი შშმ პირველკლასელი სკოლის დირექციამ26

შშმ ბავშვის ინტერესები და ბიუროკრატია27

ჯუდით კლანი: ინსტიტუციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავს30



ჟურნალი გამოდის „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.

გარეკანის მეოთხე გვერდზე - „კავშირი მშობელთა ხიდის“ მიერ შექმნილი პარაორკესტრის კონცერტის ფრანგმენტი. თეიმურაზ მიქიაშვილის ფოტოები.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭვდა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან
 ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

მაია ასაკაშვილი

ინიციატივა შშმ პირთა განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ინკლუზიური პროფესიული განათლების მეორე საერთაშორისო კონფერენცია: „შექმენი შესაძლებლობა“, გახსნა, სადაც მონაწილეებმა ადგილობრივი და საერთაშორისო ხედვის ანალიზის საფუძველზე, ხარისხიანი პროფესიული განათლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის საკითხები განიხილეს. თამარ სანიკიძემ კონფერენციაზე პირველად გააუღერა იმ ახალი სერვისის შესახებ, რომელიც სამინისტროს ინიციატივით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტთან ერთად მუშავდება და ღია შრომის ბაზარზე შშმ პირთა მხარდაჭერი სერვისების პილოტირებას გულისხმობს.

საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებმა კონფერენციაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში მოისმინეს, თუ რა გაკეთდა უკანასკნელი წლების განმავლობაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში აქტიური ჩართულობის კუთხით. ამავდროულად, კონფერენციაზე განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მხარდაჭერი სტრატეგიები.

პროფესიული განათლების სისტემის აქტიური რეფორმირება 2013 წლიდან, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაიწყო. რეფორმის ერთ-ერთ წარმატებულ ინიციატივას კი სწორედ პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა წარმოადგენს, რაშიც ქართულ მხარეს ფინანსურ დახმარებას ნორვეგიის მთავრობა უწევს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2013 წელს მოახდინა, ხოლო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვით, ქვეყანამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით, საქართველომ მონაცემები (შშმ პირები, სოციალურად დაუცველები და ა.შ.) შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა უზრუნველყო, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი დასაქმების შესაძლებლობას.

საქართველოში არსებული ინკლუზიური საგანმანათლებლო სერვისების დეტალურად განხილვისას მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა შშმ სტუდენტთა და მოსწავლეთა ჩართულობაზე.

კონფერენციაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სახალხო დამცველის ოფისის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, საჯარო სკოლების, შშმ პირთა ორგანიზაციების და უწყების და სხვა უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საზგასასმელია, რომ კონფერენციის ძირითადი მომხსენებლები კარდიფის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან არსებული დასწავლის სირთულეების უელსის ცენტრის დირექტორის მოადგილე სტეფჰენ ბიერი, მხარდაჭერითი დასაქმების ევროპული კავშირის დამფუძნებელი და მხარდაჭერითი დასაქმების მსოფლიო ასოციაციის საბჭოს წევრი კრისტი ლინჩი და საერთაშორისო კონსულტანტი დიდი ბრიტანეთიდან მაიკ ევანსი იყვნენ.

თბილისის მერიამ უსინათლოთა კავშირს პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა

(16 მარტი, 2015 წელი)

დედაქალაქის მერიამ უსინათლოთა კავშირს მათთვის მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა. უკვე ექვსი წელია, გაზეთ „პრაიმტიმის“, თითოეული ნომერი უსინათლოთა კავშირისთვის ბრაილის შრიფტით იბეჭდება. ეს ერთადერთი და პირველი გაზეთია საქართველოში, რომელსაც უსინათლოები ყოველკვირეულად ეცნობიან, იღებენ ინფორმაციას და შემდეგ ამაზე მეორე კვირის ორშაბათამდე მსჯელობენ. მერიის გადაწყვეტილებით, უსინათლოებისთვის ინფორმაციის მიწოდება დღეიდან პროექტის დაუფინანსებლობის გამო გაჩერდა. მერიის მხრიდან გადაწყვეტილებას სარეზერვო ფონდის მკაცრი გაკონტროლებით ხსნიან,

ეს არგუმენტი თავად უსინათლოთა კავშირისთვის სრულიად მიუღებელია. „პრაიმტიმის“, დამფუძნებლის თაკო ფხაკაძის გადაწყვეტილებით, გაზეთის ბრაილის ვერსია ერთწლიანი წყვეტის შემდეგ თავად გაზეთის სახსრებით აღდგება. თამარ ფხაკაძე, „პრაიმტიმის“, დამფუძნებელი: – როდესაც 2009 წელს გაზეთ „პრაიმტიმის“, შექმნის იდეა მომივიდა, მაშინ გადავწყვიტე, რომ გამეკეთებინა რაიმე საინტერესო სოციალური პროექტი. როდესაც „პრაიმტიმი“, ბრაილის შრიფტით იბეჭდებოდა, პოლონელები გვყავდნენ სტუმრად, რომლებიც სწორედ უსინათლოთა საზოგადოებიდან იყვნენ და მათ აღნიშნეს, რომ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველკვირეული გაზეთი ნოვაცია იყო, ეს ჩვენ-

გაგრძელება →

თვის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული გახლდათ. დღეს ბევრი იდეა ჩნდება, როგორ უნდა მოხდეს უნარშეზღუდული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება, სწორედ ამიტომ ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა, როდესაც მერიამ პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ერთი წლის წინათ დასრულდა ჩვენი პროექტის დაფინანსება მერიიდან. ჩვენ ხელახლა შევიტანეთ პროექტის დაფინანსებაზე განაცხადი. მერია უსინათლოებს ურიცხავს კონკრეტულ თანხას, უსინათლოთა კავშირს აქვს ბრაილის შრიფტის სტამბა, თავად



სტამბაში დასაქმებულები არიან უსინათლოები. როდესაც ჩვენი პროექტი დაიწყო, მაშინ სტამბაში ბატონი სიმონი მუშაობდა. მოგვიანებით ბატონი სიმონი ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემების გამო მისმა ქალიშვილმა ჩაანაცვლა. მერიამ განაცხადა, რომ სარეზერვო ფონდიდან ფულის გაცემა ძალიან მკაცრად კონტროლდება და ამ ეტაპზე მერიას არ გააჩნია თანხა აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად. მერიის პასუხს ერთი წლის განმავლობაში ველოდებოდით და სწორედ ამიტომ უსინათლოთა კავშირისთვის ერთი წლის განმავლობაში ჩვენი გაზეთი არ იბეჭდებოდა. ძალიან ვნანობ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მინდობილი ვიყავი მერიაზე და მათ პასუხს ველოდებოდი. ამისთვის პირადად მე, თავო ფხაკაძე. უსინათლოთა კავშირს ვუხედი ბოდიშს და ვპირდები, რომ ამ ნომრიდანვე ჩვენი საკუთარი გაზეთის სახსრებით აღდგება ბრაილის შრიფტით გაზეთის ბეჭდვა. ძალიან სამწუხაროა, როცა დედაქალაქის მერია აცხადებს, რომ მათ უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები აქვთ, ვიდრე უსინათლოთა კავშირია. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან უსამართლო გადაწყვეტილებაა. ჩემი აზრით, მერია არ არის მართალი, ისინი არ არიან ორიენტირებულები თანამედროვე ცხოვრებაზე, არ არიან ორიენტირებულები სოციალურ პროექტებზე, არ არიან ორიენტირებულები იმაზე, რომ დღეს უნარშეზღუდული ადამიანების ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში. ზოგადად, ყველა ქვეყნის დონე დღეს იმით განისაზღვრება, რამდენად არიან საზოგადოებაში ინტეგრირებული უნარშეზღუდული ადამიანები. ვიცი, რომ უსინათლოთა კავშირში მათ ჰყავთ ფავორიტი ჟურნალისტები „პრაიმტიმში“, და ვპირდები, რომ მათ მასალებს არ მოვაკლებ. უკვე ეს ნომერი „პრაიმტიმის“, ხარჯებით დაიბეჭდება ბრაილის შრიფტით. როგორც თავად უსინათლოთა კავშირში აცხადებენ, „პრაიმტიმი“

ნოვატორი აღმოჩნდა სოციალურ პროექტებში, რადგან აქამდე არც ერთ გამოცემას მსგავსი იდეა არ გასჩენია, გარდა იმისა, რომ მიმდინარე სიახლეები ამ ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი სწორედ 2009 წლიდან გახდა. ბრაილის სტამბას თავად უსინათლოთა კავშირი ფლობს, შესაბამისად, „პრაიმტიმის“, ბრაილის ვერსიის შექმნაზეც თავადვე ზრუნავდნენ. დღეს ეს ადამიანები, ინფორმაციული ვაკუუმის გარდა, უმუშევართა რიცხვსაც შეუერთდნენ. ხათუნა გოგიძე: „ჩვეულებრივ მხედველ ადამიანს გაზეთების, წიგნების, ჟურნალების ფართო არჩევანი აქვს, ჩვენ კი ეს ერთადერთი გაზეთი მოგვეწოდებოდა, რომელიც ჩვენთვის ძალიან სასურველი იყო. წარმოიდგინეთ, მხედველს თუ აქვს უფლება, არჩევანი გააკეთოს და ნაიკითხოს ის, რაც მას სურს, მე ინფორმაციის ერთადერთ წყაროს რატომ მისპობ? ამ გაზეთის არსებობით ჩვენ ჩვეულებრივ, ჯანმრთელ ადამიანებთან ვთანაბრდებოდით. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი მუშაობს და ოჯახში ხელფასი შეაქვს, ამ დროს ის ნელგამართულია. „პრაიმტიმის“, ბრაილის ვერსია საქართველოს რეგიონებშიც იგზავნებოდა. იქ ძველ ნომრებსაც კი ზუსტად ისეთივე სიხარულით ელოდებოდნენ, როგორც ახალს, რადგან მათთვის ეს ერთადერთი წყარო იყო ინფორმაციის მიღებისა. ამირან ლოლაძე, უსინათლო: – ჩვენ „პრაიმტიმის“, საინგილოშიც კი ვაგზავნიდით. სკოლაში გვყავდა ბავშვი საინგილოდან, რომელიც იხვეწებოდა, „პრაიმტიმი“, გამოგვიგზავნეთო. ვერ იპოვიტ ადამიანს, რომელიც გეტყვით, სულერთია, გაზეთს დაგვიბეჭდავენ თუ არაო. ეს თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი იყო. „პრაიმტიმი“, თემატურად ძალიან მდიდარია, მრავალფეროვანი, ყველანაირი მკითხველისთვის საინტერესოა. გარდა ამისა, როდესაც მოსაუბრეს კონკრეტულ თემაზე საუბრისას მაგალითს მოუყვანდი და ვეტყვოდი, ეს „პრაიმტიმიში“, ნავიკითხე-მეთქი, საზოგადოების თვალში ეს რალაცნაირად გვამაღლებდა. სასურველია, „პრაიმტიმის“, დაბეჭდვა კი არ შეგვიწყვიტონ, არამედ სხვებმაც მიჰბადონ „პრაიმტიმის“. როგორც თავად უსინათლოები აცხადებენ, ხელის შეხებით კითხვა მათთვის მკურნალობის ტოლფასია, რადგან ნერვულ სისტემას ამშვიდებს... გაზეთს კი ასეთ დროს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს, რადგან მათი უმრავლესობა ტელევიზორისა და რადიოს მოყვარული ნაკლებად არის. თამილა აბაშია, უსინათლო: „მთავრობა ქაშაშის შემოჭერაში ჩვენს ვაკუუმში მოქცევას თუ გულისხმობს, ეს ქაშარი კი არა. ჩვენთვის განკუთვნილი ყულფი უფროა. ძალიან გული მწყდება. რომ ბევრად მეტი თანხა იხარჯება უსარგებლო პროექტებში. ჩვენი პროექტის შეწყვეტის ხარჯზე ვილაცის შიმშილის პრობლემას რომ უგვარებდნენ, ხმას არ ამოვიღებდით და მოვითმენდით, ისევე როგორც ვითმენდით „პრაიმტიმის“, ბრაილის შრიფტით დაბეჭდვამდე, მაგრამ დღეს, როდესაც აღარავინ იმყოფებოდა ინფორმაციულ ვაკუუმში, მაინცდამაინც მე რატომ უნდა ვიყო გამონაკლისი? ესეც რომ არა, ბრაილით კითხვა ჩვენთვის მკურნალობის ტოლფასია, ნერვულ სისტემას ამშვიდებს, აწყნარებს. „პრაიმტიმი“, მერიის პასუხს პროექტის გაგრძელების შესახებ ზუსტად ერთი წლის განმავლობაში ელოდებოდა. ერთწლი-

ანი ლოდინის შემდეგ კი უარი მიიღო. მიზეზი სარეზერვო ფონდის მკაცრი კონტროლი აღმოჩნდა. რატი იონათამიშვილი, თბილისის მერთან არსებული შპს პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს ხელმძღვანელი: „მინდა, იცოდეთ, რომ მხარს ვუჭერ თქვენს პროექტს და გულით მინდა მისი განხორციელება, მაგრამ პრობლემები მექმნება იმიტომ, რომ კანონმდებლობით მხოლოდ შესყიდვებით შეიძლება მერიამ ეს დააფინანსოს, ანუ ტენდერი უნდა გამოცხადდეს (ვინაიდან გრანტის გამცემი არ არის) და ტენდერზე რა იქნება, წინასწარ ვერ იტყვი. ადრე მსგავსი პროექტები სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა. ანუ სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემა არ კონტროლდებოდა და წინა წლებში მილიონობით

ლარი იყო გახარჯული, ამიტომ მაშინ არ ითხოვდნენ არც ანგარიშებს და არც ფინანსურ დოკუმენტაციას, ახლა სარეზერვო ფონდიდან თანხის გადარიცხვის საკითხი მკაცრად კონტროლდება და იქიდან საგანგებო სიტუაციის გარდა, რამის დაფინანსება ფაქტობრივად, შეუძლებელია. მოკლედ, ბევრ რამეზე გვეშლება ამით ხელი, მე მაქვს იდეა, რომელსაც ახლა ვამუშავებთ და მომავალ წელს, ანუ 2016 წელს, დიდი შანსია, მერიამ დააფუძნოს ფონდი, რომელიც უკვე შეძლებს გრანტების გაცემას და ვფიქრობ, ეს ამ პრობლემას გადაჭრის. თუმცა ჯერ ტენდერს ვერ ვაცხადებთ, სწორედ ამიტომ ვამუშავებდი ყველანაირ ვარიანტს„.

<http://primetimenews.ge/>

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა 485 493 ლარის დაფინანსება გასცა



მოქალაქეებისთვის აუცილებელი სხვადასხვა საჭიროებების დასაფინანსებლად, თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა მიმდინარე კვირას 485 493 ლარის დაფინანსების გადაწყვეტილება მიიღო. აქედან, საქართველოში სამკურნალოდ 365 644 ლარი, ხოლო საზღვარგარეთ სამკურნალოდ - 119 849 ლარი გაიცა. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სამედიცინო და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის კომისიამ შესული 273 განცხადებიდან 227 მოთხოვნა ნაწილობრივ, ან სრულად დააფინანსა. აქედან 16 განაცხადი საზღვარგარეთის კლინიკებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას ეხება.

დაავადებათა კლასის მიხედვით, მოთხოვნებიდან ყველაზე დიდი მაჩვენებელი ავთვისებიან სიმსივნეებზე მოდის - 106, აქედან 89 შემთხვევა ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა და 214 739 ლარი გაიცა. მომდევნო ადგილზეა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები - 45 მოთხოვნა, საიდანაც ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა - 32 და გაიცა 61 228 ლარი, მესამე ადგილზე ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებებია - 35 მოთხოვნა, ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა 32 განაცხადი და 48 778 ლარი გაიცა.

კომისიის მიერ განხილული მოთხოვნებიდან ნაწილობრივ, ან სრულად დაფინანსდა: 105 ოპერაციიდან - 88; მედიკამენტებზე 80 მოთხოვნიდან - 65; ამბულატორიულ მომსახურებაზე - 14, სხივურ თერაპიაზე - 14 მოთხოვნიდან - 11.

კომისია მოქალაქეთა მოთხოვნებს „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების„ პროგრამის ფარგლებში აფინანსებს. პროგრამის 2015 წლის ბიუჯეტი 15 000 000 ლარია.

თბილისის მხრის ინიციატივების განხორციელების მიზნით 300 მილიონი ლარის პროგრამის დაწყება

საქართველოს მთავრობასა და იაპონიის მთავრობას შორის 500 მილიონი იაპონური იენის (დაახლოებით, 4,2 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის არასაპროექტო გრანტის ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ახალი თაობის, ჰიბრიდული (ელექტრო) ავტობუსების შეძენა იგეგმება. ფინანსთა სამინისტროში საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერას დღეს თბილისის მერი დავით ნარმანიას დაესწრო. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან-მა ელჩმა ტომიო კაიტანიმ. გრანტის ნაწილით ე.წ. „მწვანე ტრანსპორტის„ პოპულარიზაციის მიზნით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორი მცირე ზომის ელექტრომობილი გადაეცემა.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ პროექტს მნიშვნელოვანი უწოდა და განაცხადა, რომ პროექტი პირდაპირ შესაბამისობაშია მწვანე და გონიერი ქალაქის იდეასთან, რაც დედაქალაქში გამონაბოლქვის მოცულობის შემცირებას გულისხმობს. „ეს იქნება გარკვეული პილოტპროექტი, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქში, რამდენიმე ადგილას ელექტრომობილებით გადაადგილება იქნება შესაძლებელი. თუ რა



მიმართულებით და რამდენი ერთეული ელექტრო-
მობილი ივლის ქალაქში, როგორც გარემოს დაცვის,
ისე სოციალური თვალსაზრისით და კრიტერიუმით
შეფასდება „ - განაცხადა ნარმანიამ. საქართველოში
იაპონიის ელჩმა ტოშიო კაიტანიმ იმედი გამოთქვა,
რომ დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება იაპონი-
ასა და საქართველოს შორის არსებულ მეგობრულ
ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს. ხელმო-
წერას ეკონომიკის მიმისტრის მოადგილე ნათია მი-
ქელაძე და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე
გიორგი სომხიშვილი ესწრებოდნენ.

მთისა და ზღვის ჯარობაზე 1 550 მუშაობის შესაძლებლობის გეგმაზე განხილვის დასრულება

სალომე სიგუა



თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალ-
ური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფ-
როსმა გელა ჩივიაშვილმა და მერიის შუამდგომლობის
საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებ-
ელმა მდივანმა რატი იონათამიშვილმა დღეს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების
მშობლებს შუამდგომლობა საკურორტო მომსახუ-
რების პროგრამა გააცნეს.

„თბილისის მთავრობისთვის მნიშვნელო-
ვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბე-
ნეფიციართა ინტერესებისა და საჭიროებების
გათვალისწინება. ამ მიზნით, მერიის ჯანდაც-
ვისა და სოციალური მომსახურების სამსახური
შუამდგომლობა ორგანიზაციების წარმომადგენლებ-
თან მუდმივი დიალოგის პროცესს უზრუნველ-
ყოფს„ - განაცხადა გელა ჩივიაშვილმა.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურე-
ბის სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის
ტყმით, შუამდგომლობა საკურორტო მომსახურების
პროგრამის 2015 წლის ბიუჯეტი 530 000 ლა-
რია. პროგრამის მიზანია 3-დან 22 წლის ჩათ-
ვით ასაკის ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ემოციური ფონის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საკურორტო მომსახურების პროგრამა 1 ივნისს ამოქმედდება და 20 სექტემბრამდე გას-
ტანს. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთისა და ზღვის კურორტების საგზურს 1 550 შუამდგომლობის მიღებას.

სერვისის მომწოდებელი დაწესებულებების შესარჩევად მომავალ კვირას ტენდერი გა-
მოცხადდება.

p.s.

ეს ძალიან კარგია, მაგრამ ზრდასრულებისთვის რომ არ არის შანსი? უფროსებმა
რა დააშავეს? რა მნიშვნელობა აქვს ასაკს, ან ვინ და რა კრიტერიუმებით განსაზღვრა
ეს ასაკი? დასაშვებია, რომ 22 წლის ზემოთ არც ერთი პროგრამა არ მოქმედებს?

პროგრამის მიზანი ყოფილა 3-დან 22 წლის ჩათვლით ასაკის ბენეფიციართა ჯან-
მრთელობისა და ემოციური ფონის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. რო-
გორც ჩანს, მათთვის, ვინც ეს პროგრამა შეადგინა, 22 წლის ზემოთ ბენეფიციართა
ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მათი სოციალურ ინტეგრაცია უკვე გადაწყვეტილია,
დარჩენილია მხოლოდ ბავშვების საკითხი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხს გადახედვა სჭირდება და ასე ზერელედ კი არა, არ-
ამედ სახელმწიფოებრივი აზროვნების დონეზე უნდა გადაწყდეს ყველა ასაკის შუამდგომლობის
თა ჯანმრთელობის გაუმჯობესების და მათი სოციალური ინტეგრაციის საკითხი.

პრემიერ-მინისტრი აუზიზის შესახებ სწოვლოვის ამაღლები სართაშორისო ღღეს გამონებაურა

2015-04-02



„ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველობა და თანადგომა სჭირდებათ. ყოველი ჩვენგანის ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს სრულად რეალიზების საშუალება მივცეთ. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ადამიანების მიმართ წლების განმავლობაში სტერეოტიპული დამოკიდებულება არსებობდა და მისასალმებელია, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს უფრო მეტად აცნობიერებს ამგვარი სტერეოტიპების რღვევის აუცილებლობას, უფრო ცივილიზებულად უდგება ამ საკითხს და მორალურად ეხმარება მათ. მთავრობამ კი ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ განათლებისა და

შრომის პირობები და ხელი შეეწყოს საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობა, თბილისის მერიასთან ერთად, რამდენიმე თვეში სპეციალურ პროგრამას ამოქმედებს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

<http://government.gov.ge/index.php?lang=id=GEO&sec-id=406&info-id=48346>

გამარჯვებულნი ღაბგობრუნდნენ

გამარჯვებულნი



საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაკრებმა ასპარეზობა 14 ოქროს და 2 ვერცხლის მედლით დაასრულა. ჩემპიონატზე ქართველმა სამხედროებმა ოთხ სახეობაში იასპარეზეს და სამ სახეობაში პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს.

კალიფორნიის შტატის საზღვაო ქვეითთა ბაზა - პენდელტონზე საერთაშორისო შეჯიბრებები „დაჭრილ მეომართა თამაშები“ დასრულდა. ჩემპიონატში ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო

მოსამსახურეებთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილი მეომრებიც მონაწილეობდნენ.

გამარჯვებით დაბრუნებულ სამხედროებს აეროპორტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპორტის სამსახურის წარმომადგენლები დახვდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაკრებმა ასპარეზობა 14 ოქროს და 2 ვერცხლის მედლით დაასრულა. ჩემპიონატზე ქართველმა სამხედროებმა ოთხ სახეობაში იასპარეზეს და სამ სახეობაში პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს.

პირველები იყვნენ დაშავებული ქართველი ჯარისკაცები მჯდომარე ფრენბურთში, მშვილდოსნობასა და პნევმატური იარაღიდან სროლაში. მშვილდით სროლაში მაიორი მალხაზ შეყილაშვილო ოქროს მედლის, ხოლო უმცროსი სერჟანტი ბახვა დარსალია ვერცხლის მედლის მფლობელი გახდნენ. პნევმატური იარაღიდან სროლაში კი ოქრო-ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ პირველადგილოსანი - კაპრალი ჯიმშერ ჩხენკელი და მეორე ადგილზე გასული - უმცროსი სერჟანტი დავით მახარეიშვილი. მჯდომარე ფრენბურთში გუნდური პირველი ადგილით და ოქროს მედლებით დატოვეს ქართველმა სამხედროებმა პენდელტონის ბაზა.

კალიფორნიის შტატის საზღვაო ქვეითთა ბაზა საერთაშორისო შეჯიბრებებს ყოველწლიურად მასპინძლობს. წელს ასპარეზობა მეხუთედ გაიმართა. სხვადასხვა ქვეყნის დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები ერთმანეთს მშვილდოსნობაში, ველოსპორტში, სროლებაში, ცურვაში, მჯდომარე ფრენბურთსა და კალათბურთში ეჯიბრებოდნენ. მსგავსი შეჯიბრებები დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით იმართება.

სოციალურად დაუცველთა ქულების დათვისის ახალი სატესტო სისტემა ხვალიდან ამოქმედდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა სოფრომაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, სოციალურად დაუცველთა ქულების დათვისის პრინციპები უკვე განსაზღვრულია. მისივე თქმით, სოციალურ აგენტს დამოუკიდებლად არ ექნება უფლება თვითონ დანიშნოს, ან მოხსნას სოციალური დახმარება.

31 მარტი 2015 13:11



სოციალურად დაუცველთა ქულების დათვისის ახალი სატესტო სისტემა ხვალიდან ამოქმედდება. ამის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა სოფრომაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, სოციალურად დაუცველთა ქულების დათვისის პრინციპები უკვე განსაზღვრულია. მისივე თქმით, სოციალურ აგენტს დამოუკიდებლად არ ექნება უფლება თვითონ დანიშნოს, ან მოხსნას სოციალური დახმარება.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, მთავარი ამოსავალი წერტილი შეფასებისას ის ქონება იქნება, რომელსაც მოქალაქისთვის გარკვეული შემოსავალი მოაქვს.

„ხვალიდან დაიწყება სატესტო რეჟიმში ეს პროგრამა, პირველ ეტაპზე უახლოესი ერთი თვის განმავლობაში, დაახლოებით 5 000-მდე ბენეფიციარს შეეხება. პირველ ეტაპზე მათი გადამოწმება მოხდება. ესენი არიან მოქალაქეები, რომლებიც ახლა ერთგვიან პროგრამაში და ნაწილი იმ მოქალაქეებისა, რომლებიც აქამდე იყვნენ ჩართული პროგრამაში და გარკვეული პრობლემები არსებობდა. მთლიანად ახალი პროგრამის ჩანაცვლება ეტაპობრივად რამდენიმე თვის განმავლობაში მოხდება“, - განმარტა ზაზა სოფრომაძემ.

მისივე ინფორმაციით, პროგრამა ბავშვზე ორიენტირებული ხდება. სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახებს დამატებითი ბენეფიტები დაემატებათ იმის მიხედვით, თუ რამდენი ბავშვი ჰყავთ ოჯახში. „როგორც „იუნისეფი“ გვაძლევს რეკომენდაციას უკიდურესად სიღარიბეში მყოფი ბავშვების რაოდენობა ახალი პროგრამის ამუშავების შემდეგ თითქმის განახევრდება“, - განაცხადა სოფრომაძემ.

<http://www.interfactnews.ge/index.php/politika/9-niusebi/9839-2015-03-31-09-13-01>

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს 112 ახალ სერვისს სთავაზობს

თამთა კაკაურიძე



ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის 112 ახალ სერვისს იწყებს. კერძოდ, სერვისის ფარგლებში ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს გადაუდებელ შემთხვევაში SMS და ვიდეო ზარის საშუალებით, შეეძლებათ 112-ს დაუკავშირდნენ.

112-ის SMS და ვიდეო ზარის ახალი უფასო სერვისი ხელმისაწვდომი იქნება 27 მარტიდან მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. სერვისი განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის.

როგორც 112-ში აცხადებენ, სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. 27 მარტიდან სარეგისტრაციო ფორმის

შევსება შესაძლებელი იქნება 112-ის ვებ-გვერდზე www.112.ge ან 112-ში სატელეფონო ზარის განხორციელებით. სარეგისტრაციო მონაცემები დაცულია.

უნყების ინფორმაციით, გადაუდებელი დახმარების შესახებ შემოსული შეტყობინება გადაეცემა: სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას, საპატრულო პოლიციას და სახანძრო/სამაშველო სამსახურს, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისგან შემოსულ შეტყობინებებს მიიღებენ შესტური ენის მცოდნე ოპერატორები.

პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით.

<http://www.gurianews.com/>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა საკითხებზე მომუშავე საბჭო თბილისის მერიაში

2015 წლის 19 მარტი

18 მარტს, თბილისის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე შექმნილი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა.

ამის შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებიდან და მედია-საშუალებებიდან შესაძლოა თქვენთვის უკვე ცნობილია. თუმცა, ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის ინფორმაცია ჩვენი მხრიდანაც, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციიდან, მითუმეტეს, რომ ჩვენი ორგანიზაცია წარმოდგენილია საბჭოში.

შეგახსენებთ, რომ საბჭოს საქმიანობის მიზანია შშმ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად ერთიანი საქალაქო პოლიტიკის ჩამოყალიბება და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის კოორდინაციის გაღრმავება. როგორც ბევრი თქვენგანისთვის უკვე ცნობილია, მას თბილისის მერი ხელმძღვანელობს, შემადგენლობაში შედიან 9 საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები და 11 წარმომადგენელი სამოქალაქო სექტორიდან, რომელნიც შშმ პირთა საკითხებზე მუშაობენ. აღმასრულებელი მდივანია რატი იონათამიშვილი. საბჭოს წევრია ჩვენი ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“, აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ახმეტელიც, რომელიც მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანების ინტერესებისა და საკითხების გამტარი უნდა იყოს საბჭოში.

პირველი სხდომის დღის წესრიგი 4 საკითხს მოიცავდა, კერძოდ:

1. ქალაქ თბილისში მდებარე საჯარო და-ნიშნულების შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციისა და ადაპტირების გეგმის პრეზენტაცია

სხდომის ამ ნაწილში კონკრეტული გეგმის პრეზენტაცია არ გაკეთებულა. თუმცა, როგორც ბატონმა მერმა განაცხადა, გადაწყვეტილია საჯარო შენობა-ნაგებობების, ასევე მინისკვეშა გადასასვლელების, ხიდების, სარეკრეაციო ზონების, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების, თეატრების და სხვა აღრიცხვა და ინვენტარიზაცია. რის შემდეგაც შემუშავდება ადაპტირების ეტაპობრივი გეგმა და შესაბამისი ხარჯების ბიუჯეტში გათვალისწინება.

2. შშმ პირთათვის პარკინგის მოწყობის წესში ცვლილებების შეტანის საკითხი

აღნიშნულ საკითხზე მომხსენებელი გახლდათ გიორგი ახმეტელი, რომელმაც ისაუბრა იმ დაბრკოლებებზე, რაც ექმნებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მოქმედი წესის პირობებში. შეგახსენებთ, რომ ქალაქში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოყოფილი პარკირების ადგილებით სარგებლობა შესაძლე-

ბელია მხოლოდ იმ შშმ პირებისათვის, რომელნიც თავად არიან ავტომანქანის მფლობელები და ასევე, სპეციალურად ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებით. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ლეგალური გზებით მართვის მოწმობის აღება შშმ ადამიანებისათვის ფაქტობრივად შეუძლებელია არსებული არასათანადო მიდგომებისა და რეგულაციების პირობებში, ცოტაა ისეთი შშმ პირი, რომელსაც შესაძლოა ავტომობილი მფლობელობაში კიდევაც ყავდეს, მაგრამ თავად მართავდეს მას. ამას ემატება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიუწვდომლობა - პრობლემა, რომელიც რამდენიმე წლიანი აქტიური კამპანიისა და მუშაობის, გარკვეული ნაბიჯების გადადგმის შემდეგაც კი მოუგვარებელ პრობლემად რჩება. (ამასთან დაკავშირებით ბატონმა მერმა გიორგი ახმეტელს განუცხადა, რომ მიმდინარე წელს იგეგმება მცირე რაოდენობით ახალი ავტობუსების შემოყვანა ქალაქში და როგორც მიმდინარე წელს, ასევე მომავალშიც, ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეძენისას სატენდერო პირობებში აუცილებელი მოთხოვნა იქნება მათი მისაწვდომობა ნებისმიერი შშმ პირისათვის.) შედეგად შშმ პირებს უმეტესწილად უწევთ სხვისი დახმარებით და სხვის მფლობელობაში მყოფი მანქანით გადაადგილება, რაც ართმევს მათ მათი ინტერესების დაცვისათვის გატარებული ზომებით სარგებლობის საშუალებას. გიორგი ახმეტელმა ამ პრობლემის საპასუხოდ მერიას შესთავაზა ცვლილებების გატარება მოქმედ რეგულაციაში ისე, რომ პარკირების სპეციალური ადგილებით მოსარგებლეთა საცნობი ნიშნები გაიცემოდეს არა ავტომობილებზე, არამედ თავად შშმ პირებზე, რომელნიც ავტომობილით გადაადგილებისას, იმისდა მიუხედავად, თავის მფლობელობაში არსებული მანქანით გადაადგილდებიან თუ სხვა მანქანით, ისარგებლებენ პარკირების შესაბამისი ნიშნით გამოყოფილი ადგილებით. თუმცა, ამ ვარიანტსაც შესაძლოა ახლდეს გარკვეული რისკები. სამომავლოდ დაიგეგმა თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან თანამშრომლობით არსებული პრობლემის მოგვარების გზებზე მუშაობა.

გიორგი ახმეტელი ასევე შეეხო სხვა საკითხებსაც, რაც დაკავშირებულია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პრინციპებიდან, სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე თვითმმართველობების ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებზე. აღინიშნა, რომ რეალური ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კონვენციისა და 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის უკიდურესად ჭიანჭურდება. ჭიანჭურდება და პრობლემურია არსებული რეგულაციების აღსრულებისა და ზედამხედველობის საკითხიც. მათ შორის შენო-

ბა-ნაგებობებისა და საჯარო სივრცეების შშმ პირთათვის მისაწვდომობის გათვალისწინებით აგებასთან და მოწყობასთან მიმართებაში. როგორც წესი, ცვლილებების გარეშე წლიდან-წლამდე გადმოდის ძველი პროგრამები, რომელიც ემყარება მოძველებულ, არასწორ, სამედიცინო მიდგომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისადმი და ხშირად ეს პროგრამები მიბმულია შშმ პირთა სოციალურ სტატუსთან და არა მათ რეალურ, ინდივიდუალურ საჭიროებებთან. მერიის წარმომადგენელთა განცხადებით, ამ საკითხების მოგვარების გზები მოსაფიქრებელია და შესაბამისი სამსახურები ამაზე იმუშავებენ.

3. საჯარო შენობა-ნაგებობების ადაპტირებისათვის ნებართვის გაცემის პროცედურების გამარტივება

სხდომაზე ასევე დაისვა საკითხი, რომ გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომელიც სახელმწიფოს მფლობელობაშია და მათი უშუალო ვალდებულება ამ შენობების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვაა ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო სექტორის წარმომადგენლებს სურთ თავისი სერვისის მიწოდების

ადგილების ადაპტირება და საამისოდ ნებართვის მოპოვება დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული და ასევე იქნა მიღწეული შეთანხმება, რომ არსებული რეგულაციები ამ მიმართულებით გადასახედია და მოითხოვს სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობასა და კოორდინაციას.

4. საბჭოს წევრი შშმ პირთა წარმომადგენლების მიერ თემატური ჯგუფების შექმნა

სხდომაზე ასევე შეთანხმდნენ უფრო ეფექტური მუშაობისათვის, კონკრეტული ნაბიჯების დასაგეგმად მიზანშეწონილია თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელნიც ორიენტირებულნი იქნებიან კონკრეტულ მიმართულებებზე და უზრუნველყოფენ თემის წარმომადგენელთა და შშმ პირთა ორგანიზაციების მაქსიმალურ ჩართულობას გადწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში.

ორგანიზაცია იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოს მუშაობა არსებული რესურსების პირობებში მაქსიმალური ეფექტის მომტანი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემისათვის.

<https://www.facebook.com/notes/567309233372196/>

ცვლილებები შშმ პირთა დახმარების პროგრამაში

მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შესაძლებელი გახდა შშმ პირებისათვის დამატებითი სერვისების მიწოდება. ჯანდაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, მთავრობამ მიიღო გადწყვეტილება შშმ ბავშვების რებილიტაცია-აბილიტაციის პროგრამის სრულად დაფინანსების შესახებ. რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, ნაცვლად თანადაფინანსებისა, სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას, იმაზე 350- ით მეტი ბავშვი მიიღებს, ვიდრე ეს თავდაპირველ პროგრამაში იყო გაწერილი. სრულად დაფინანსდება ასევე ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა და განვითარების შეფერხების მქონე კიდევ 80 ბავშვს ექნება პროგრამაში ჩართვის საშუალება. ჯამში სხვადასხვა სერვისით 430 ბავშვი ისარგებლებს. რაც შეეხება დღის ცენტრებს, 532 ბავშვის ნაცვლად, ვაუჩერს 580 ბავშვი მიიღებს. პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა -გაიოზ თალაკვაძემ ნეიროგანვითარების ცენტრში, შშმ ბავშვების მშობლებს და სერვისის მიმწოდებელ პროვაიდერ ორგანიზაციებს გააცნო.

<https://www.youtube.com/watch?v=VFV5QO9xuQY&list=UU33YuNSHoPwfmJC42U2p-cw>



პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უცხინეთ ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაქაძელის სააქტიურო ვალაქქმას
„ალაპიანჭი ეანსხვაქქული ძქსაძლქტლოჭქით“

ჯანდაცვის სამინისტრო: დღისათვის კრძალ მიზნისში მსთლთდ 20 შშმ პირთა დასაქმებულნი

დათო ფარულავა



„როცა შშმ პირი დაინახავს, რომ მასაც და არა შშმ პირსაც ერთნაირად ვექცევით, იმის განცდა, რომ პროფესიის შეთავაზება დისკრიმინაციის გამო ხდება, აღარ ექნება,“ - თბილისის მერიის ორგანიზებით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლების შესაძლებლობების, შესახებ სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა სტურუა ამბობს, რომ შრომის ბაზრის ტოტალური კვლევა პირველად ტარდება.

„როცა შშმ პირთა ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, დღევანდელი ბაზარი უნდა შევავსოთ. ამ ბაზარზე ჩართვა ყველა პირს შეუძლია. კვლევა დაწყებულია და 6000 კომპანია გამოიკითხება. ხშირად შშმ პირები ამა თუ იმ პროფესიაში განათლების მიღების შესახებ მულტიდისციპლინური ჯგუფის შეთავაზებაზე უარს ამბობენ. ეს გამოწვეულა განცდით, რომ მათი შეზღუდვიდან გამომდინარე, იღებენ შეთავაზებას,“ - ამბობს სტურუა.

მისი თქმით, იმის გასარკვევად, თუ რა სურს მოთხოვნად პროფესიებში დამსაქმებელს, მსხვილ ეკონომიკურ სექტორში 240 სიღრმისეული ინტერვიუ ჩაინერება. ასევე გამოიკვეთება, რა ტრენინგები იქნება საჭირო იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს.

„ჩვენ გვჭირდება სპეციალისტები და ეს საკითხი ევროკავშირის წინაშე დავაყენეთ. არც მეთოდური სახელმძღვანელოები გვაქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შშმ პირების კონსულტაციისა თუ კარიერის დაგეგმვისთვის. ნორვეგიის საბჭოსთან ერთად დაინიშნა კადრების აყვანა და მომზადება, რომლებიც მართო ამ საჭიროების მქონე ადამიანებთან იმუშავენ. 20 შშმ პირი მუდმივი შრომის ხელშეკრულებით არის დასაქმებული კერძო ბიზნესში. ამ ციფრს, როცა ვახსენებთ, ირონიით გვიყურებენ, მაგრამ არ იციან, რამდენი შრომა გვინევს დამსაქმებელთან, რომ თუნდაც ერთი ადამიანი მაინც მიიღონ,“ - ამბობს სტურუა.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/124385/>

სამკურნალო პედაგოგიკა

პარლ კიონიბი, ექიმი-ფსიქიატრი

სენსორული დარღვევები

ჩემო ღრმად პატივცემულო დამსწრენო! გუშინ შევეცადეთ მოტორული დარღვევების რამდენადმე გაგებას. სამწუხაროდ, ამ ფართო სფეროს შესახებ ცოტას თქმა შევძელით ასე მოკლე დროში. რისი გადმოცემაც მოხერხდა, მხოლოდ მინიშნებაა მოტორული დარღვევების უსაზღვრო მრავალფეროვნებაზე, რის ცოდნაც აუცილებელია მკურნალი პედაგოგისათვის.

მე ვცაადე არ შევხებოდი სამედიცინო დიაგნოსტიკას, მესაუბრა არა თავის ტვინის დაზიანებაზე, არამედ ფენომენები მომეწოდებინა. შესაძლოა, ამ თემასთან დაკავშირებით აქამდე არ შევხებოვართ სივრცის სამ განზომილებას: კერძოდ, რომ პარაპლეგიის მქონეს (ორი ფეხის სპასტიკური დამბლა) დარღვეული აქვს „ქვედასა“ და „ზედას“ შორის ურთიერთმიმართება. ჰემიპლეგიის მქონეს (ცალი მხრის დამბლა) მარჯვენა-მარცხე-

ნის კავშირი. ტეტრაპლეგიისას (ორივე კიდურის დამბლა) კი დარღვეული აქვს სფერო, რომელიც წინ-უკანას კავშირს განსაზღვრავს. სივრცის ეს მიმართულებანი მხოლოდ გეომეტრიისთვისაა თანაბარმნიშვნელოვანი, მაგრამ როგორც მკურნალმა პედაგოგებმა უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს, როცა ტეტრაპლეგიური ბავშვი მუდამ „წინაზე“ ორიენტირებული. „უკანას“ ზურგის განცდა კი საერთოდ არ აქვს. როცა პარაპლეგიური ბავშვი მეტ-ნაკლებად მხოლოდ „ზედას“ ფლობს. „ქვედას“ სიღრმეს, სიძიმეს, მინას კი ვერ უკავშირდება, ვინაიდან კიდურები არაა ამის შესაფერისი. ეს ისეთი ფენომენებია, რომელთაც ე.წ. ნორმალური ადამიანები ცნობიერად ვერ განვიცდით: ისინი იმდენად თავისთავად ცხადნი არიან, რომ ყურადღებას არც კი

გაგრძელება ➔

ვაქცევთ. მაგრამ, როგორც კი გადახრა ვლინდება, ეს ჩვეულებრივი მოვლენა უღრმეს მნიშვნელობას იძენს, რომლის დანახვაც უნდა ვისწავლოთ, რათა გავწიოთ სათანადო დახმარება.

ამიტომაც განუწყვეტლად მივუთითებ ბავშვის ანთროპოლოგიაზე, მასზე დაყრდნობით ვიმეცნებთ იმ ფაქტს, რომ სპასტიკურობა, ჰემიპლეგია, ათეტოზი უბრალოდ დამბლა კი არ არის, არამედ ის, რომ მოცემული ადამიანი სრულიად სხვაგვარადაა ორგანიზებული. სპასტიკური პიროვნება არაა იგივე ადამიანი, რაც მე, რომელსაც კიდურების მოძრაობა შეუძლია. იგი სულ სხვანაირია. ადვილია ამის ვერ დანახვა. მაგ., ბევრ სახელმწიფოში შეიძლება ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებზე ნავიკითხოთ: მათ აქვთ დამბლა, ზოგს კი შეგრძნებებიც დარღვეული აქვს. ერთნი სმენადაქვეითებულნი არიან, მეორენი ნაკლებადმხედველნი და ა.შ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამ ცოდნით არასაკმარისად ვწვდებით შეგრძნებათა და მოტორულ დარღვევებს, როგორც მთლიანობას, ანუ ამგვარი ბავშვის ზოგად მდგომარეობას, გრძნობების სფეროს, ემოციების ფორმირებას. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვიც „მთლიანობა“ და არ შედგება ერთი მხრივ, სხეულებრივი დარღვევებისაგან, მეორე მხრივ კი რამოდენიმე ანომალური მშენიერი თვისებისაგან, მთავარი სამკურნალო დიაგნოზის დასმა, ანუ გამსჭვალავი ცოდნის მოპოვებაა.¹

მოტორული დარღვევების განხილვისას კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, რათა გავუგოთ კონკრეტულ ბავშვს, ვინაიდან ზედა და ქვედა, წინა-უკანას, მარჯვენა-მარცხენას განზომილებაში ჩართვა არა მარტო მოტორიკის საქმეა, არამედ სენსორიკასაც (გრძნობად აქქებებს) მოიცავს. ეს სრულიად განსაზღვრული სენსორიკაა, რომელიც ყველა ჩვენგანს ბუნებრივად გააჩნია, მაგრამ მასაც ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ზოგადი ფიზიოლოგია და ანთროპოლოგია ყურადღებას ჯერაც არ აქცევს მას. ესაა ჩვენი სხეულებრივი არსებობის სენსორიკა.

ყოველ დამბლიან ბავშვს, ათეტოზურს, ატაქსიურს, სპასტიკურს თუ რიგიდული დამბლის მქონეს, მოტორულ დარღვევებთან ერთად გააჩნია მძიმე სენსორული დარღვევა ე.წ. სხეულის გრძნობების სფეროში. ეს გრძნობები, თუმცაღა ბუნდოვნად, გვაცნობიერებინებს ჩვენს სხეულებრივ ბუნებას. რუდოლფ შტაინერმა ცხადად და გარკვევით აღწერა და ერთმანეთისაგან გააჩნია სხეულის ოთხი გრძნობა² იგი საუბრობს შეხების, სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობის, და წონასწორობის გრძნობაზე. ისინი მეტ-ნაკლებად ცნობილია დღევანდელი ფიზიოლოგიისათვის, მაგრამ მათი მნიშვნელობა არასაკმარისადაა გაგებულნი. ძალზე მოკლედ აღ-

ვწერ მათ. შეხების გრძნობით აღვიქვამთ საკუთარი სხეულის ზედაპირს. აქაც დეტალებს ვერ შევხები. შეხება გარე განცდა კი არაა, არამედ გარეგანის შინაგანზე დანოლისას განვიცდით საკუთარ თავს, როგორც სხეულს³. სიცოცხლის გრძნობა კარგად ყოფნის შეგრძნებას იძლევა. ძნელია ამის განმარტება, როდესაც დილით დგები და ამჩნევ, თუ როგორ გრძნობთ თავს. საიდან მოდის ეს? სხეულს განცდილს, გამოცოცხლებულს, ან დაღლილს, დამტვრეულს. ესაა სიცოცხლის გრძნობის მთლიანობითი განცდა. იგი დამოკიდებულია, მაგ., სისხლის მიმოქცევაზე, სითხის ცირკულაციის წნევაზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. საკუთარი მოძრაობის შეგრძნება განუწყვეტლივ ბუნდოვნად განგვაცდევინებს ამ მდგომარეობას. რომელშიც ჩვენი სხეულის ნაწილები იმყოფება ერთმანეთის მიმართ. ჩვენ მხედველობის გარეშე ვიგებთ, მოხრილი გვაქვს თითი თუ გაშლილი, ხელი წინ მოვხარეთ თუ უკან. ეს უშუალოდ შეიგრძნობა. წონასწორობის გრძნობა, რომელსაც ზოგი საერთოდ არ ცნობს, იძლევა არა ჩვენი სხეულის ცალკეული ნაწილების ურთიერთმიმართების აღქმას, არამედ მთელი სხეულის სივრცეში, ზედა და ქვედა განზომილებაში მდებარეობის გრძნობას. რატომ ვამბობ ამას? ვინაიდან მოძრაობის დარღვევის მქონე ყოველ ბავშვს მეტ-ნაკლებად აკლია საკუთარი სხეულებრივობის ეს განცდა, ჩვენი არსებობის ეს ძირეული განცდა. შესაძლოა საკუთარ თავზე ან სხვაზე განვიცადოთ, თუ რას ნიშნავს ადამიანისათვის წონასწორობის დაკარგვა, რამაც ღრმა მშენიერი დარღვევა, ზოგჯერ თვითმკვლელობაც კი შეიძლება გამოიწვიოს, ვინაიდან აუტანელია სამყაროში მდებარეობის დაკარგვა. აუტანელია უეცრად წონასწორობის დაკარგვის გარკვეული ფორმისას განიცადო სამყარო, რომელიც მოძრაობს შენს გარშემო. ზოგიერთ თქვენგანს ალბათ განუცდია რას ნიშნავს გემზე რყევისას ცუდად გახდომა, როცა კაცს სიკვდილი უნდა, რადგან აღარ შეუძლია ამის ატანა. აი, ამას ნიშნავს სხეულის ამ ოთხი გრძნობათაგან მხოლოდ ერთ-ერთის დაკარგვა.

როცა თქვენს წინაა პოსტენცეფალიტის მქონე ბავშვი, რომელსაც მოტორიკა აქვს დარღვეული და მხოლოდ ის შეუძლია, რომ გამუდმებით აგზნებულად მოძრაობდეს, ყველაფერს ხელს სტაცებდეს, უნდოდეს ესა თუ ის რამ, ხელს ავლებდეს ნივთებს და მაშინვე აგდებდეს მათ – ეს უფრო მეტია, ვიდრე საკუთარი მოტორული დარღვევა. ამგვარ ბავშვს გააჩნია ან ძალზე ძლიერი, ან ძალზე სუსტი შეგრძნება საკუთარი მოძრაობისა. გაიხსენეთ, როგორ აქვავებს მოტორულად მოხუც ადამიანს უეცარი დამბლა, ვთქვათ ხელისა. ამ დროს ხელის მოძრაობის უნარი იკარგება არა მარტო მოტორული დარღვევის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ქრება ამ ხელის ცნობიერება. მხოლოდ მაშინ, თუ ჯანსაღ ხელს დაზიანებულს მოავლებენ როგორც საგანს,

¹ აქ ნაგულისხმებ სამკურნალო პედაგოგიურ განხილვებში საქმე ეხება ცალკეული დარღვევების ერთმანეთთან კავშირში მოაზრებას. საუბარია იმაზე, თუ რას ნიშნავს განსაზღვრული ბავშვის გადახრათა მთლიანობა სწორედ ამ ბავშვისათვის. ერთი და იგივე დამბლა ბავშვის არსებობისათვის შეიძლება სულ სხვა მნიშვნელობის იყოს იმისდა მიხედვით, მასთან ერთად ადგილი აქვს მხედველობის თუ სმენის დარღვევას.

² კარლ კონიგი აქ ეხება რუდოლფ შტაინერის მოძღვრებას შეგრძნებებზე, რომელიც გავრცელებული შეხედულებებისაგან განსხვავებით აღწერს ადამიანის 12 გრძნობას. აქ ხსენებული 4 მათგანი ძირითადად ემსახურება საკუთარი სხეულის აღქმას.

³ აქ იგულისხმება არა საგნების მოსინჯვა, არამედ დღის განმავლობაში მუდმივად განმეორებადი განცდა – გარემოს საგნებთან შეხებისას საკუთარი სხეულის საზღვრების შეგრძნება.

შეუძლიათ ამოდრონ იგი. ასეა ბევრ სპასტიკურ ბავშვთან. ისინი შეძლებენ მოძრაობას, თუ გამოვუღვიძებთ საკუთარი მოძრაობის გრძნობას ისე, რომ ხელის განცდა კვლავ შესაძლებელი გახდეს. დღესდღეობით ბევრს საუბრობენ ნივთიერებათა ცვლის თანშობილ დარღვევებზე, რასაც სულიერი განვითარების მძიმე შეფერხებამდე მივყავართ. რაშია აქ საქმე? ფელიკლეტონურიისას⁴ დარღვეულია არა მარტო ცილის მეტაბოლიზმი გარკვეულ რეგიონებში, არამედ სიცოცხლის გრძნობა და სხეულის განცდა ვერ ხდება ისე, რომ ბავშვი გრძნობდეს მას, როგორც თავის საკუთარს.

პატარა ბავშვი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ეუფლება თავისი სხეულის ორგანიზაციას, არა მარტო ამით მკვიდრდება საკუთარ სხეულში, რომ სწავლობს თითების, ხელების, თვალების, თავის, კისრის, მკერდის, ქვედა კიდურების მოძრაობას, არამედ პირველ რიგში იმის წყალობით, რომ ბუნდოვნად, მაგრამ საფუძვლიანად სწავლობს შეგრძნებას: ეს ჩემი სხეულებრივი ორგანიზაციაა,

რაც გუშინ მოკლედ გითხარით, კერძოდ ის, რომ სპასტიკურებთან და ათეტოზურებთან მუდმივად დახლეჩილი და დარღვეულია სხეულის სქემა, დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ოთხი ქვედა გრძნობა – შეხების, სიცოცხლის, საკუთარი მოძრაობის და წონასწორობის – არ ფუნქციონირებს. ფიზიოლოგები მიხვდებიან, რომ სხეულის ეს სქემა

სხვა არაფერია, თუ არა ამ ოთხი ქვედა გრძნობის ურთიერთკავშირი. აქედან აღმოცენდება იგი. სხეულის სქემაზე დიდი ხანი შეიძლება საუბარი, მაგრამ წინაც უნდა წავინიოთ.

ზემოთქმული შეიძლება ერთი სიტყვით გამოვხატოთ და გთხოვთ უფრო ხშირად გამოიყენოთ იგი. ესაა „ინკარნაცია“ და აღნიშნავს განვითარებადი ინდივიდუალობის მიერ სხეულებრივი ორგანიზაციის ნაბიჯ-ნაბიჯ დაუფლებას. გააცნობიერეთ ეს: ყოველ ბავშვთან შეიძლება დავაკვირდეთ ინკარნაციის საფეხურებს, როცა ვკითხულობთ: როდის ასწია ბავშვმა თავი, როდის დაჯდა და დადგა, როდის გაიარა დამოუკიდებლად, მაშინ თვალს ვადევნებთ სხეულის დაუფლების ინკარნაციის საფეხურებს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი რამაა, ვინაიდან ჩვენ არა მარტო სხეულს ვეუფლებით, როცა ვიზრდებით, არამედ ამასთან სხვა მოვლენაცაა დაკავშირებული. ამას აღვნიშნავთ სიტყვით, რომელიც, შეიძლება ისე მშვენიერი არაა, როგორც ინკარნაცია, მაგრამ კარგად გამოხატავს აზრს, კერძოდ „დისკრიმინაცია“. იგულისხმება, რომ ბავშვი სწავლობს საგნებისა და არსებების გარჩევას. მე ვეუფლები ჩემს სხეულს: ინკარნაცია, მე ვინყებ სამყაროს წვდომას ისე, რომ ერთმანეთისაგან ვარჩევ სხვადასხვა საგნებსა და არსებებს.


გაგრძელება შემდეგ ნომერში

⁴ ნივთიერებათა ცვლის თანშობილი დაავადება.

ადაპტური ფიზიკური აღზრდა

ცეკვა, როგორც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და სხვა დარღვეული ფუნქციური სისტემების აღდგენის სტიმულირატორი

თეიმურაზ მიქიაშვილი



ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა წარმოებს ფიზიკური აღზრდის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. ვარჯიშების ინდივიდუალობიდან გამომდინარე, შეიძლება შეირჩეს მისანვდომი და ადვილად მისანვდომი ვარჯიშები, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ადაპტური შესაძლებლობების ჩამოყალიბებას და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და სხვა დარღვეული ფუნქციური სისტემების აღდგენის სტიმულირებას.

შეიძლება განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ცეკვები - ცეკვა წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების სახეს, რომელიც პლასტიკური მოძრაობის სისტემატური შენაცვლებით გამოხატავს ადამიანის მოძრაობითი შესაძლებლობების უნარს, მის ხასიათს და სულიერ მდგომარეობას. ცეკვა წარმოადგენს მთელ ნაწარმოებს, რომელსაც გააჩნია კონკრეტული შინაარსობრივი წყობა - ექსპოზიცია (მონაწილეთა მოქმედებების და ხასიათების გაცნობა), კვანძის გახსნა (შემდეგი მოქმედების ინტერესის გაღვიძება), კულმინაციის წინა საფეხური (თემა, რომელიც აწვითარებს ემოციებს, წარმოაჩენს კონტრასტებს და ურთიერთქმედებებს), კულმინაცია (ემოციების მაქსიმალური გამოხატვის პლასტიკური გადაწყვეტა), გახსნა (წარმოდგენილი ჩანაფიქრის აზრობრივი გახსნა).



ცეკვის ფორმირების საშუალებად ითვლება რიტმი, რომელიც წარმოადგენს მოძრაობის კანონზომიერ რიგითობას. რიტმი გამოხატავს პიროვნების ემოციურ მდგომარეობას, აქტიურობას, პლასტიკურობას, ფეთქებად, წყნარ და ნარნარ მოძრაობებს. მუსიკა, ცეკვას წარმართავს მოძრაობის ფორმის აგების კანონზომიერების მიხედვით. როგორც მუსიკას, ასევე ცეკვას საფუძველად უდევს რიტმული თანმიმდევრობა და უწყვეტობა. ცეკვის საფუძველშია ჩადებული მოძრაობა რიტმზე - ყრდნობითი და არაყრდნობითი მოძრაობები. ცეკვაში, როგორც მუსიკაში დამთავრებული მოქმედება შედგება 8 ტაქტისაგან. ყოველი ტაქტის თვლაზე სრულდება განსაზღვრული მოძრაობა.

როგორც რიტმს, ასევე მოძრაობას გააჩნია სიჩქარე და ტემპი. ტემპი არის მოძრაობის სიჩქარე (მოქმედების სიხშირე). მუსიკის შერჩევის დროს ყურადღება ექცევა მის ტემპს. მუსიკალური რიტმი ახდენს განსაკუთრებულ გამაჯანსაღებელ ეფექტს - კეთილსასურველ გავლენას ახდენს გულის შეკუმშვის რიტმზე, სუნთქვის სიღრმეზე და სისძირეზე, მოტორული რეფლექსების კოორდინაციაზე.


შეიძლება გავითვალისწინოთ, რომ დატვირთვა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ცეკვებში ისეთივეა, როგორც გამაჯანსაღებელი რბენის დროს. არანაკლებად იტვირთება

ცეკვის დროს კუნთები, ხოლო სახსრების აქტივიზაციისათვის ცეკვები უფრო ქმედითია, ვიდრე რბენა. ეს მათ ანათესავებს ტანვარჯიშთან, რომელიც სახსრების მოქნილობის და დამუშავების შესანიშნავი საშუალებაა, თუმცა თუ სპორტული ვარჯიშები ითვალისწინებს ვარჯიშების შესრულების მაღალ ტექნიკას, საცეკვაო ვარჯიშები გაცილებით დემოკრატიულია, იგი უშვებს არაზუსტ „მოღრეცილ“ მოძრაობებს, დაუჭიმავ ქუსლებს, არასპორტულ პოზებს, იქ უფრო მნიშვნელოვანია ტემპი, ხანგრძლივობა და ხასიათი. გამაჯანსაღებელი ცეკვების არსენალში ურიცხვი ვარჯიშებია: დახრები, ბრუნები, ქნევები, ტრიალი, ხელ-ფეხის აწევა. ნახტომები, მოძრაობები დგომში, ჯდომში დანოლილი და ა.შ.

აერობულმა ცეკვებმა ჰარმონიულად შეითავსა ისეთი დოზირებული მოძრაობითი აქტიურობა, როგორც ახასიათებს რბენას. იგი სხვადასხვანაირად ზემოქმედებს კუნთებზე და სახსრებზე და პირდაპირ კავშირშია სპორტულ ვარჯიშებსა და ემოციურობას შორის, რაც ნაკარნახებია თანამედროვე მუსიკალური რიტმებით.

ნოდარ მამაცაშვილი

თავშესაფარი



– უღრმესი მადლობა, ბატონო გიგი! მთელი ჩვენი კოლექტივისა და ჩვენი ბავშვების სახელით. თქვენისთანების თანადგომა რომ არა, როგორ შევძლებდით ამდენ პრობლემასთან გამკლავებას.

– რას ბრძანებთ, ეს ჩვენი- მესამე სექტორის პირდაპირი მოვალეობაა. რომ იცოდეთ, რა რთულია დონორებთან ურთიერთობა, ათას ფორმალობას ითხოვენ. ძნელად ესმით ჩვენი რეალობა.

– წარმომიდგენია, რამდენი წვალეა გინევთ.

– წვალეა იქით იყოს, ისევ ჩვენი ბენეფიციარები ზარალდებიან.

– ხომ არ ამობრძანდებოდით ზემოთ, უფრო კომფორტულ გარემოში ვისაუბრებდით?

– არა, ეზოში სჯობია, ბავშვებსაც გავესაუბრები ცოტას. ღმერთო, რა საყვარლები არიან.

– კაბინეტში ამოვიყვან ვისაც გნებავთ!

– არა, იცით მეგობრებს ველოდებით ტელევიზიებიდან

და მერე იყოს. აქ გადავიღებთ. მშვენიერი ბავი გქონიათ.

– ეს გერმანელი კოლეგების პროექტით გაკეთდა.

– ისა, ალბათ, ერთი ეტლით მოსარგებლე მოზრდილი ბავშვიც დაგვჭირდება. რალაც ისეთი ფაქტურით, ხომ ხვდებით. ორიოდ მადლიერების სიტყვა რომ შეძლოს.

- პრობლემა არ არის. აბა, მე დაგტოვებთ დროებით.
- ლანა, არ მოვიდნენ?
- ჯერ არ სჩანან.
- კი მაგრამ ხომ დაურეკე ორი დღით ადრე.
- როგორ არა, გიგი. საინფორმაციო სააგენტოშიც გავაგზავნე გასავრცელებლად და პირადადაც ვე-
- ლაპარაკე ტვ 15-ის მენეჯერს.
- აბა, რა დაემართათ! ერთი ის ბავშვები მოაცილე მანქანას. ალბათ ბაღში სჯობს გადაღება, არა? შენ
- რას იტყვი?
- მე მგონი კი, კარგი ანტურაჟია.
- ა ეს ბანალური სიუჟეტები არ მინდა. ცოტა ორიგინალური რომ იყოს. რესპოდენტიც ცოტა ნორ-
- მალური.
- პრობლემა არ არის.
- როდემდე უნდა ველოდოთ, ნერვები მეშლება.
- მოვლენ ალბათ.
- ალბათ პასუხი არ არის.
- მე რა გავაკეთო, არ მესმის.
- ამაშია საქმე. ეკას მაინც თუ დაურეკე?
- კი მაგრამ არ პასუხობს.
- საგიჟეთია რა! ნახევარ საათში ივენთზე მელიდებიან. ერთი იმ ტიპს დაუძახე. რა ჰქვია, დირექ-
- ტორს რა!
- გისმენთ, ბატონო გიგი! არ მოვიდნენ თქვენი ტელევიზიები?
- ჯერ არ სჩანან. მე პირადად დიდ ბოდიშს გიხდით ამ გაუგებრობისთვის. ყველაფერს დავარიგებთ
- თავის დროზე. როგორ შეიძლება ამ ბავშვებს გვერდში არ დაუდგე. საზოგადოების სულიერი სიჯანსაღე
- ხომ მათდამი ჩვენი დამოკიდებულებით განისაზღვრება. ისინი იმიტომ მოგვივლინა ღმერთმა, სიყვარული
- რომ გვასწავლონ. ასე არ არის ქალბატონო...
- ხათუნა.
- დიახ, ქალბატონო ხათუნა!
- მართალს ბრძანებთ. ჩვენი ბავშვები...
- ერთი ნუთით, ლანა, რაო?
- არავინ არ იღებს, არ ვიცი რა ხდება.
- გამაგიჟებთ მე თქვენ.
- მე რა შუაში ვარ!
- აბა ვის მოვკითხო, კოორდინატორი შენა ხარ. უკაცრავად, შეგანყვეტინეთ.
- თუ რაიმე ფორმალობაა საჭირო... ბატონო გიგი...
- არა ქალბატონო ხათუნა. უბრალოდ ძალიან არაორგანიზებულად გამოგვივიდა. ამდენი დროც არა
- მაქვს. ბოდიში უნდა მოგიხადოთ თქვენც და ბავშვებსაც. მაგრამ სწორად გაგვიგეთ. ჩვენ ახლა წავალთ და
- აუცილებლად დავბრუნდებით. წინასწარ დაგირეკავთ.
- იქნებ გადმოგეტვირთათ.
- არა, პროტოკოლს ვერ დავარღვევ. ყველაფერს თავისი წესი აქვს, მოგეხსენებათ. მკაცრი მონიტო-
- რინგია. ლანა, უთხარი სერგოს მოაბრუნოს მანქანა. მეტს ველარ დავიცდით. ვერ გადმოგტვირთავთ-თქო.
- და იქნებ...
- ვერა, ვერა, ქალბატონო, ჩვენც უნდა გავვიგოთ! აი ეს ბროშურა გამომართვით, ჩვენი ორგანიზა-
- ციის შესახებაა. აბა, დროებით!..

2014, XI



პირველი საბედისწილო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უბინეთ ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაქაძის სააქტობო ვალაქმას
„ალაპიანჭი ვანსჯაჭყლი ქუსაქლქლოჭჭით“



იყითხეთ ფუნდალი „იპელი +“

მაკა ნათელაური

ფიქრი ბიზნისი მაქსიმალურად



არ ვიტყვი ეს სიუჟეტი კარგი იყო, თუ ცუდი, ვინ მტყუანია, ვინ მართალი, უბრალოდ ერთ კითხვას დავსვამ: ყველა ადამიანს, როგორც კი იბადება და დედის მუცლიდან ამ სამყაროში შემოაბიჯებს, იმ წუთას სიცოცხლის უფლება ენიჭება და არავის უფლება არ აქვს მისი სიცოცხლე ხელყოს, ხომ ასეა?

ასეა, მაგრამ ეს უფლების მონიჭება რად მინდა თუ დავიბადე, არ მომკალი, მაგრამ იმის საშუალებაც არ მომეცი რომ მეცხოვრა, თუ ისეთი გარემო არ შემიქმენი, როგორც საჭიროა, სადაც ცხოვრება შემეძლებოდა, სადაც ვიგრძნობდი, რომ მეც საზოგადოების წევრი ვარ და ყველგან გზა ხსნილი მაქვს? თუ ზრდასრული ადამიანი გავხვდი, მანქანაც შევიძინე, მაგრამ უფლება არ მომეცი, რომ ისე დამეყენებინა, როგორც მე მჭირდებოდა (მჭირდებოდა და არა მინდოდა)

ისეთი სიცოცხლის უფლება რად მინდა, თუ დამინახე ეტლში ვზივარ, შენ კი მაინც ყველგან კიბეები გააკეთე და იმის საშუალება არ კი მომეცი, რომ წაესლიყავი სკოლაში, უნივერსიტეტში, სამუშაოზე... სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე, თეატრში, კინოში, მეგობრებთან ერთად შეესულიყავი კაფეში..... ისეთი სიცოცხლის უფლება რად მინდა, თუ ვერ გამოვიყენე ეს უფლება?! არ მომკალი, მაგრამ არც მაცოცხლე...

პ. ს. მგონი ამ სიუჟეტის ნახვისას ჩემს მეზობლებს გული მიეცათ, დღეს ფანჯრიდან დავინახე ჩვენს მანქანას როგორ უყურებდნენ, ალბათ ისინიც სითი პარკინგის მიერ დამონტაჟებულ ბოძს მოძრობას უპირებენ.

მიეძვნა აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს

მაია ასაკაშვილი



თბილისი, 2 აპრილი, 2015 – ფონდი „სიცოცხლის ხის„ დაფინანსებით, კავშირმა „მშობელთა ხიდი„ პარაორკესტრი შექმნა. კავშირმა 2014 წელს ფონდ „სიცოცხლის ხის„ მიერ გამართულ მეორე საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა და წარმატებით განახორციელა პროექტი, რომელიც გულისხმობს მუსიკით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ პარაორკესტრის ჩამოყალიბებას. პარაორკესტრის წევრები არიან სმენადაქვეითებული, უსინათლო, აუტისტური სპექტრის და მობილობის შეზღუდვის მქონე ბავშვები და მოზარდები. აღნიშნული პროექტის შექმნა, ხელს უწყობს შშმ ბავშვების შემოქმედებითი

პოტენციალის გამოვლენას, მათი შესაძლებლობების რეალიზებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. მიუმეტეს რომ, მუსიკალური თერაპია ხელს უწყობს ბავშვების უნარ-ჩვევების განვითარებას.

2 აპრილს მოძრაობის თეატრში გაიმართა აღნიშნული პარაორკესტრის პირველი კონცერტი, რომელიც აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს მიეძვნა. გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, 2008 წლის 2 აპრილიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღნიშნავს აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღეს.

კავშირი „მშობელთა ხიდი„ შექმნა შშმ ბავშვების, მათთან მომუშავე პერსონალის-ფსიქოლოგების და მშობლების ინიციატივით 1999 წელს. კავშირის წევრების მიზანია განვითარდეს შშმ ბავშვების სასწავლო



და სოციალური პრობები. კავშირს ყავს 50 ბენეფიციარი, რომლებსაც სისტემატიურად უტარდებათ: მუსიკალური თერაპია, დრამათერაპია, არტთერაპია, ოკუპაციური თერაპია, ლოგორითმიკა და ფიზიკური თერაპია. ბენეფიციარებთან მუშაობენ პროფესიონალები, როგორც ფსიქოლოგები, ასევე სპეციალური პედაგოგები და მეთოდისტები.

ფონდმა „სიცოცხლის ხე“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად 2014 წელს ორი საგრანტო კონკურსი გამართა, რომელთა ფარგლებშიც დააფინანსა 26 პროექტი. ჯამში, 2014 წლის განმავლობაში 1 მილიონ 600 000 ლარამდე თანხა დახარჯა, განათლების, გარემოს დაცვის და შშმ ბავშვების მხარდასაჭერად. ფონდმა ასევე, ინდივიდუალური პირების 13 სხვადასხვა პროექტი განახორციელა და 300 შშმ ადამიანს ეტლი გადასცა.

ფონდის შესახებ:

ფონდი „სიცოცხლის ხე“, საქართველოს წამყვანი ბანკის, საქართველოს ბანკის მიერ 2008 წელს დაარსებული საქველმოქმედო ფონდია. ფონდის მიზანია მხარდაჭერა გაუწიოს საქართველოს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და ხელი შეუწყოს ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას. ფონდის პრიორიტეტები ყალიბდება საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე და სხვადასხვა დროს მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერა, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა. ფონდს აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ბანკის პარტნიორები და

ინვესტორები. ფონდიდან თანხების მიზნობრივად ხარჯვას კი ზედამხედველობას უწევს ბანკის მიერ ჩამოყალიბებული მონიტორინგის სამსახური, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.foundation.ge

კავშირი „მშობელთა ხიდის“, ისტორია:

მისია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ბავშვთა, მოზარდთა, მოზრდილთა) საზოგადოებაში ინკლუზიისათვის სწრაფვა.

კავშირი დაფუძნდა 1999 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების, პროფესიონალების, ამ კატეგორიის ბავშვებთან მომუშავე პერსონალის, ფსიქოლოგების ინიციატივით, რომლებსაც არ აკმაყოფილებდათ მათი შვილების სასწავლო და სოციალური პრობები. იურიდიული სტატუსი მიიღო 2002 წელს.

ორდანიზაციაში გაერთიანებულია 50 ბენეფიციარი. მათ სისტემატიურად უტარდებათ მუსთერაპია, დრამათერაპია, არტთერაპია, ოკუპაციური თერაპია, ლოგორითმიკა და ფიზიკური თერაპია. ბენეფიციარებთან მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი ექიმის, ფსიქოლოგის, სპეციალური პედაგოგის და მეთოდისტის შემადგენლობით..

10 წლის განმავლობაში სახელმწიფო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ორგანიზაციამ წარმატებით განახორციელა 20-ზე მეტი პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების საკეთილდღეოდ.



იპალით სავსე დღე



21 მარტს ჩატარდა „ადამიანთა შორის ყველაზე უწყინარი, ყველაზე გულწრფელი, ყოველგვარი ბოროტების, ტყუილის, მტრობის და დესტრუქციული ვნებების მიღმა მდგარი, მხოლოდ სიყვარულის გასაცემად და მისაღებად მოვლენილი ხალხის, დაუნის სინდრომის მქონე ღიმილა და ღუნღულა ადამიანების საერთაშორისო დღე.“ ეს სიტყვები ეკუთვნის ქალბატონ ნათია ფანჯიკიძეს, რომელიც ფეისბუქის მისივე პოსტიდან ამოვიკითხე.

ამ დღეს მართლაც დიდი ხალმრავლობა იყო ვაკის პარკის შესასვლელთან. აქ მოსული იყვნენ მშობლები თავიანთი შვილებით, სტუდენტები, მოხალისეები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სამახსოვრო საჩუქრებს ურიგებდნენ ბავშვებს და მოზარდებს. სუფევდა ხალისიანი და საზეიმო ატმოსფერო.

ჩვენი კორესპონდენტი თეიმურაზ მიქიაშვილი გაესაუბრა ამ ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთ ორგანიზატორს, კავშირი „ჩვენი ბავშვების„ მენეჯერს ქალბატონ ლია ტაბატაძეს.

ქალბატონო ლია, დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს. რას გვეტყვით ამ ღონისძიების შესახებ. რა ღონისძიებები ტარდება საქართველოში?

ლია ტაბატაძე - დიახ, დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნება დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაანესა დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე, ჩვენ უკვე მეოთხე წელია აღვნიშნავთ ამ დღეს და საკმაოდ შინაარსიანადაც. დღევანდელი ღონისძიებით ჩვენ ვუერთდებით მთელ მსოფლიოს. ამასთან დაკავშირებით, ერთი კვირაა რაც დავიწყეთ მზადება, მოვანყეთ ფოტოგამოფენები, გადავიღეთ ვიდეორგოლები და მოვანყეთ მათი ჩვენებები. გვერდში დაგვიდგა უსაზღვროდ დიდი რაოდენობით ადამიანი და სიმართლე გითხრათ, ამდენი ადამიანის თანადგომას ჩვენ ნამდვილად არ ველოდით და ამისათვის ფაქტიურად მოუმზადებელი აღმოვჩნდით.. რა თქმა უნდა ჩვენ ამ მზადებაში დიდი ძალისხმევა ჩავდეთ, მაგრამ მაინც არ გვეგონა თუ ამდენი ადამიანი დაგვიდგებოდა გვერდით და თავის სოლიდარობას გამოხატავდა. დღეს ჩვენ გვექნება მშვიდობიანი აქცია იმ მხრივ, რომ რაც ნახა ხალხმა სურათებით, ვიდეორგოლების და ტელეგადაცემების საშუალებით, არ ეგონოთ, რომ ეს ყოველივე მოგონილია, ჩვენ ვაჩვენებთ საზოგადოებას, რომ ეს ყველაფერი რეალური ამბავია. ჩვენ აქ ვართ ოჯახებით, ჩვენი შვილებით, დამსწრე საზოგადოებით, და რეალურად ვაჩვენებთ საზოგადოებას, რომ ჩვენ ვარსებობთ და ჩვენი უფლებები უნდა იყოს დაცული. მსვლელობას დავიწყებთ ვაკის პარკიდან, ჩავივლით ჭავჭავაძის გამზირს



სახელმწიფო უნივერსიტეტამდე, დავარიგებთ საინფორმაციო ბუკლეტებს და დავასრულებთ მსვლელობას უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან. ექვს საათზე კი დაიწყება საქველმოქმედო კონცერტი, რომელზეც დასწრება თავისუფალია. ნებისმიერ ადამიანს შეეძლება ამ კონცერტზე დასწრება და თავისი მხარდაჭერის გამოხატვა.

კორ-ალბათ ცნობილი პირები დაესწრებიან კონცერტს.



ლია ტაბატაძე - ზუსტად არ ვიცი რამდენი ადამიანი მოვა კონცერტზე, მაგრამ ვიცი, რომ ცნობილი სახეები და საჯარო პირები აპირებენ ჩვენს გვერდით ყოფნას.

კორ - ღმერთმა ქნას, რომ ჩვენს ქვეყანაში ერი და ბერი ერთად ყოფილიყოს. დღეს, როგორც იტყვიან საფუძველი ჩაეყარა, მართლაც თავისი შინაარსით ლამაზ, ღონისძიების საჯაროდ ჩატარებას. ალბათ, ყოველთვის ასე იქნება და შეგნებულ საზოგადოება მხარს დაუჭერს არა მარტო მის ჩატარებას, არამედ რეალურად გვერდში დაუდგება მათ უფლებების დაცვაში და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაში.

ლია ტაბატაძე - რა თქმა უნდა. მეც ვიმედოვნებ, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი და წინ ბევრი კარგი საქმე გველოდება, მაგრამ ამას სჭირდება თავდაუზოგავი შრომა. ეს კამპანია არ არის მხოლოდ ახლახანს დაგეგმილი და მარტივად გაკეთებული. ამაზე ჩვენ ორი თვეა თავდაუზოგავად ვშრომობდით. ოცდასამი მარტიდან, ანუ შემდეგი ორშაბათიდან უკვე მომავალი წლის არა მარტო 21 მარტის ღონისძიებისათვის, არამედ უფრო ქმედითი ღონისძიებებისათვის და ვინცეხტ სამზადისს და ასევე თავდაუზოგავად ვიმუშავებთ მანამ, სანამ საზოგადოება მიიღებს ჩვენს შვილებს ისეთებად, როგორებიც არიან. მარტო ჭრელი წინდების მომზადება, ფოტოების გადაღება და კონცერტების ჩატარება არაფერს არ ნიშნავს. და როდესაც ჩვენ პრაქტიკულად დავინახავთ, რომ ისინი მართლაც ჩვენი საზოგადოების ნამდვილი წევრე-

ბი არიან, მაშინ, ვფიქრობ, რომ აღარ დაგვჭირდება მსგავსი აქციების ჩატარება, თავად საზოგადოება მიხედავს ამ საკითხს ჩვენზე უკეთესად.

კორ - დიახ, ნამდვილად იქნება. აუცილებლად უნდა გვექონდეს ამის იმედი. შესანიშნავი თაობა გვეზრდება და კარგ მაგალითზე გაზრდილი აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. იქნებ გვითხრათ, რას იტყვით იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც „არ ეხებოდათ“, ეს საქმე, მაგრამ მაინც გვერდით დაგიდგათ.

- მაგალითად, ყოველთვის მზადაა ჩვენს შეთავაზებაზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. მათთვის ყოველთვის მისაღებია ჩვენი შეთავაზებული ნებისმიერი იდეა და მზად არიან დახმარებისათვის. ეს მათსურები და ბანერები მათი მხარდაჭერით გაკეთდა. ასევე მინდა აღვნიშნო საბერძნეთში მცოვრები ქართველების ფონდი „ივერიონი“, რომელმაც ჩვენთვის იანვარში საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა და ორი ათასი ლარი გადმოგვირიცხა. სწორედ, ის, რაც ამ ღონისძიებას დასჭირდა იმ თანხით მოვაგვარეთ. მინდა გითხრათ, რომ ეს მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან ძვირფასი აღმოჩნდა. ასევე ვორლდდვიჟინი არის ჩართული და გვეხმარებიან რეგიონალური საქმეების მხარდაჭერაში. იქ, როგორც არასდროს ძალიან მაღალი ჩართულობაა და მინდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ მარტო თბილისში არ ტარდება ეს ღონისძიება. ამ აქციაში ჩართულია რვა რეგიონი და ძალიან ამაღლებული განწყობილებით ატარებენ ამ ღონისძიებას. მთავარი ის არის, რომ ამ რაიონებში გამგეობები და ენჯუეები კი არ აკეთებენ ამ ღონისძიებას, არამედ თავად მშობლები არიან ამის ორგანიზატორები და ჩამტარებლები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.



- კორ. ჩართულები არიან ისინი, ვისაც ძალიან სტკივა.

- დიახ, ასეა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს საქმე არ დამთავრდება ამ ღონისძიებით. ადამიანებს ჩვენ ყოველთვის ვემახსოვრებით და დღევანდელი დღით არ დასრულდება ჩვენი წელიწადი.

დაუნის სინდრომი



დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის მიზეზსაც მშობლების სასქესო უჯრედების გაყოფის პროცესში წარმოშობილი დარღვევა წარმოადგენს, რის შედეგადაც ნაყოფის უჯრედებში 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა ხვდება. სწორედ ეს ზედმეტი ქრომოსომა განაპირობებს დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ფიზიკურ ნიშნებს (სახის ბრტყელი პროფილი, მოკლე კისერი, პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა და სხვა), ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას და ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო საჭიროებებს (გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები, მხედველობისა და სმენის დარღვევები და სხვა).

საზოგადოებაში არსებული სტიგმა და მცდარი შეხედულებები ხელს უშლის დაუნის სინდრომის მქონე პირთა პოტენციალის რეალიზებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სპეციალისტების ადრეული ჩარევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ წარიმართება ამ სინდრომის მქონე ბავშვისა თუ მოზრდილის ცხოვრება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ზუსტი ინფორმაცია გაგვაჩნდეს აღნიშნულ დიაგნოზთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია საზოგადოებაში გავრცელებული მითები და მათი შესაბამისი რეალური ფაქტები:

მითი: დაუნის სინდრომი იშვიათი დაავადებაა

სინამდვილე: დაუნის სინდრომი ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადებაა და ყოველწლიურად საშუალოდ ყოველ 1000 ბავშვში 1 სწორედ აღნიშნული სინდრომით იბადება.

მითი: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირეა.

სინამდვილე: ბოლო წლებში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუთანაბრდა მათი სხვა თანატოლების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობას, რასაც ხელი შეუწყო მათთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებების ხელმისაწვდომობის ზრდამ.

მითი: დაუნის სინდრომი გენეტიკურია და მემკვიდრეობით გადადის

სინამდვილე: დაუნის სინდრომი გენეტიკურადაა განპირობებული შემთხვევათა მხოლოდ 1 პროცენტში. დანარჩენი 99 პროცენტის შემთხვევაში კი იგი არ ატარებს გენეტიკურ ხასიათს.

მითი: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობას ასაკოვანი მშობლები ჰყავთ.

სინამდვილე: მშობლების ასაკის ზრდასთან ერთად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის გაჩენის ალბათობა და რისკი იზრდება, თუმცა ამ დიაგნოზის მქონე ბავშვების უმეტესობას 35 წლამდე ასაკის მშობლები ჰყავთ. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ ასაკამდე ბავშვის გაჩენის მაჩვენებელი უფრო მაღალია.



მითი: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს მნიშვნელოვანი ინტელექტუალური შეფერხება აქვთ.

სინამდვილე: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა უმეტესობას აქვს მსუბუქიდან საშუალო ხარისხის ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, რაც განაპირობებს აბსტრაქტული აზროვნებისა და განზოგადების სიძნელეებს, სწავლის ნელ ტემპს, თუმცა არ გამოორიცხავს განვითარების, ახალი უნარების დასწავლის, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ფუნქციონირების შესაძლებლობებს.

მითი: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ სკოლაში უნდა სწავლობდნენ.

სინამდვილე: საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამის არსებობის შემთხვევაში, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ჩართვა შესაძლებელია ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში. აღნიშნული რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და ეროვნული სასწავლო გეგმით.

მითი: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების დასაქმება შეუძლებელია

სინამდვილე: მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, დაუნის სინდრომის მქონე პირების დიდი ნაწილი დასაქ-



მებუღია სხვადასხვა სექტორში (მაგალითად რესტორნები, სასტუმროები, კლინიკები, გართობის ინდუსტრია და ა.შ.)

მითი: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები ყოველთვის ინარჩუნებენ კარგ გუნება-განწყობილებას.

სინამდვილე: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები, თითოეული ჩვენგანის მსგავსად ემოციების მთელ სპექტრს განიცდიან და მათ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებსა თუ ადამიანებზეც როგორც დადებითი ისე უარყოფითი ემოციებით რეაგირებენ. მაგალითად, დადებითად რეაგირებენ მათდამი მეგობრულ დამოკიდებულებაზე და აღიქვამენ და სწყინთ მათ მიმართ გამოვლენილი უხეში ან უპატივცემულო მოპყრობა.


მითი: დაუნის სინდრომის მქონე პირებს არ გააჩნიათ ახლო ურთიერთობის დამყარების უნარი.

სინამდვილე: დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ მეგობრობის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და სოციალიზაციის სხვა უნარები. მათი ნაწილი ქმნის ოჯახს ან აგრძელებს პარტნიორულ თანაცხოვრებას მოზრდილ ასაკში.

და ბოლოს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც მაღალია საზოგადოების ცნობიერების დონე და არსებობს დაუნის სინდრომის მქონე პირების განვითარებისთვის ხელშემწყობი შესაბამისი პირობები, აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვები და მოზრდილები საგანმანათლებლო, სოციალური თუ რეკრეაციული აქტივობების აქტიური მონაწილეები არიან, ჩართულები არიან სპორტის, მუსიკისა და ხელოვნების სფეროში. ისინი საკუთარი ოჯახებისა და თემის ღირებულ წევრებს წარმოადგენენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



„ამ აზრებსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება და ჩვენ უფრო მეტი აღაშენი იქნებათ შემთხვე, შემთხვე იქნება...„



ქირურგიის ნომერ პირველი მიმართულების კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი, 60-ზე მეტი შრომის და ორი მონოგრაფიის ავტორი, საქართველო-ისრაელის ერთობრივი კლინიკის ხელმძღვანელი, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დღის ცენტრის „აისის„ დამფუძნებელი – გივი ჩიქოვაძე.

- როდის და რატომ ავირჩიე პროფესია ვერ გეტყვით. უბრალოდ ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ექიმი და თან ქირურგი უნდა ვყოფილიყავი. ოჯახში ექიმი არავინ არ ყოფილა. მეხუთე კლასში ვიყავი, ჩემმა დამ ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში, თუმცა მისაბადი მაგალითი ესეც არ იყო. ახლაც რომ მკითხოთ, რა თქმა უნდა, ისევე ექიმობას ავირჩევდი. მიუხედავად ექიმის პრაქტიკაში ძალიან დიდი სირთულეების, განცდების, ხშირად

დაუმსახურებელი წყენის და უმადურობისა. ვფიქრობ, ერთ-ერთი იმ პროფესიათაგანია, რომელიც სულსაც უხარია და ხორცსაც. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მე დღეს ექიმი ვარ.

- როგორ ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის დღის ცენტრი?

- მე თვითონ ვარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი. 2000 წელს გერმანიაში ნეეროლოგ პიტერ ვოლფს ვიზიტის დროს, ვკითხე, რისი იმედი შეიძლებოდა მქონოდა. მან კი ჩრდილო გერმანიის ქალაქ ბილფელდში წამიყვანა, სადაც ჯერ კიდევ, 1903 წელს კათოლიკე მღვდლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დაარსებული პირველი თავშეფარი მაჩვენა, რომელიც 250 ბავშვზეა გათვლილი. რომ დავბრუნდი, მეც გადავწყვიტე, რომ ასეთი ცენტრი გამეხსნა. ჩემი მეგობრების, ახლობლების, ნინო ქადაგიძის ძალიან დიდი დახმარებით 2004 წელს, ავჭალაში გავხსენით ეს ცენტრი,



სადაც 1500 კვადრატული მეტრი გვაქვს ამ ბავშვებისთვის – სპორტული მოედნით, დარბაზებით, ტერიტორიით, სადაც მიწასთან დაკავშირებულ შრომით საქმიანობებს ახორციელებენ, რომელიც ასევე თერაპიას წარმოადგენს ამ ბავშვებისთვის.

- რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად?

- ამჟამად, ცენტრს 21 თანამშრომელი და 57 ბავშვი ყავს. თუმცა შეგვიძლია 100-მდე ბავშვი მივიღოთ. პირველ ორ წელს დაფინანსებაც ნორმალური გვქონდა. ხშირად მოდიოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ახლა, ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ ზოგჯერ ერთადერთი მომვლელი და პატრონი ვარ ამ ცენტრის და მისი პრობლემების. თუმცა რომ არა ჩემი მეგობრები, მე ამას ვერ შევძლებდი. ძირითადი ინვესტიციები, რომლებიც ამ

ცენტრის განვითარებას დასჭირდა და დღესაც სჭირდება, რომ ნორმალურად შეასრულოს ის ამოცანები, რაც მის წინაშე დგას, ჩემი კოლეგების და მეგობრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია ამ ცენტრის ნორმალურად არსებობა იმ მინიმუმით, რომელსაც სახელმწიფო გვანვდის. თუმცა უნდა ვთქვა, რომ თუ ადრე, ხელისუფლებასთან შეუვალი კედელივით იყო ამ თემაზე ლაპარაკი, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით 2 წელია, რაც ეს კედელი გაირღვა. ამ საკითხებზე უკვე აქტიურად ვლაპარაკობთ და კეთილგანწყობაც დავინახე მათი მხრიდან. მე არ მახსოვს, რომ წინა წლებში გამგებელს ასე ხშირად ევლოს ცენტრში და ბავშვებს ასე შეყვარებოდეთ ის.

- 2014 წელი სახელმწიფომ შშმ პირების ინტეგრაციის წლად გამოაცხადა...

- დიახ, რაც ცოტა უცნაურია. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ამ ადამიანების ინტეგრაცია საზოგადოებაში, როცა არ არსებობს დასაქმების სისტემა? ეს ბავშვები ინსტიტუტებში და კოლეჯებში ვერ მიდიან, დასაქმება არ არის, ანუ განწირულები არიან, რომ ინტეგრაცია ქუჩაში გაიარონ ან სახლში ჩაკეცო. რა თქმა უნდა, ორივე არის საშინელება. ისინი საზოგადოებას ან ეცოდება, ან ეშინიათ. მათ კი არცერთი არ სჭირდებათ. ამ ბავშვების არასწორი ცოდნა საზოგადოების მხრიდან, მოზარდებში ხშირად ინვესს აგრესიას, დაცინვას. ამიტომ ქუჩა გამორიცხულია და ერთადერთი საშუალება მათი უსაფრთხო და დაცულ გარემოში დასაქმებაა.



სამწუხაროდ, ერთი პრობლემაა შშმ პირების ინტეგრაცია საზოგადოებასთან და მეორე პრობლემაა საზოგადოების ინტეგრაცია მათთან. ეს სტიგმა უნდა დაირღვეს. თუ საზოგადოება არ გახდა მიმღებელი, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ ჩატარდა ის სერიოზული მუშაობა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მარტო დღის ცენტრების და თითოეული ადამიანის იმედზე, მიმღებელი გახდება საზოგადოების მხოლოდ ის ნაწილი, რომლებთანაც ჩვენ მიგვყავს ეს ადამიანები, ჩვენი აქტივობებით. საზოგადოებაში ინტეგრაცია უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით ყალიბდება.



- ინკლუზიური განათლება...

- ამის შესახებ 1960 წელს დაიწყო ლაპარაკი ნიუ-იორკში, სადაც შშმ პირების მშობლების შეხვედრა გაიმართა. სწორედ, ამ შეხვედრის დროს, ერთ-ერთმა მშობელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ



მის შვილს ჩვეულებრივ სკოლაში უნდა ესწავლა. რა თქმა უნდა, ვერაფერი ვერ უთხრეს და აქედან შეიქმნა ინკლუზიური სკოლები, რომელსაც ბევრი მომხრეც ყავს და ბევრი მოწინააღმდეგეც. ინკლუზიური განათლების შესახებ საუბარი საქართველოში 2008- 2009 წლებში დაიწყო. ჩვენი გამოცდილებით, ვფიქრობთ, რომ შშმ ბავშვები, სამწუხაროდ, იმ დატვირთვის ვერ უძლებენ, რაც ჩვეულებრივ სკოლებშია. განსხვავებულია მათი სწავლის პროგრამაც და მეთოდოლოგიაც. არის ქვეყნები, სადაც ინკლუზიური და ჩვეულებრივი სკოლა ერთად შენდება. თუ ამას სახელმწიფო ისე გაიაზრებს, როგორც წარმატებულ ქვეყნებშია განვითარებული, შეიძლება რომ მოისინჯოს. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ჩვენთან შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე მხოლოდ არამენტალური დაზიანების მქონე პირები მიაჩნიათ. ანუ, ვისაც ფიზიკური პრობლემები აქვს და ინვალიდის სავარძელს არის მიჯაჭვული, ვერ მოძრაობს და ა.შ.

- როგორც წესი, დღის ცენტრებში ბავშვები 18 წლამდე დადიან...

- დიას, წესით ასეა, 18 წლის შემდეგ სახელმწიფომ უნდა დაასაქმოს და მას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ცენტრს დაარსებიდან სამი წლის შემდეგ, დაფინანსება შეუწყვიტა სახელმწიფომ, მაინც ვერ ვუშვებთ ამ ბავშვებს, იმიტომ რომ არ არსებობს დასაქმების და პრედასაქმების სისტემა სახელმწიფოს მხრიდან. გერმანიაში ერთ-ერთი ბავშვი სახლში რომ გაუშვეს, თავი ჩამოიხრჩო. ამის შემდეგ შეიმუშავა გერმანიის მთავრობამ დასაქმების პროგრამა. ეს ადამიანები სწორედ მაშინ გრძნობენ საზოგადოების სრულყოფილებიან

წევრებად თავს, როცა მუშაობენ და დასაქმებულები არიან.

ჩვენ ახლა ვცდილობთ შევქმნათ ხუთი სოციალური საწარმო მაინც. ჩემმა მეგობარმა გვიყიდა სამკერვალო მანქანები. გავხსენით საამქრო, რომელიც ჩვენს ბაზაზე ფუნქციონირებს, სადაც ორი ჩვენი ბენეფიციარი დაოსტატდა. ქალაქის მერი დავით ნარმანია შეგვპირდა, რომ დავგვემარება სათბურის გაგეგმვაში. გვინდა ასევე, გავაკეთოთ ფერმა.

სამწუხაროდ, საზოგადოებაც და მთავრობაც, ისე უყურებს ამ საკითხს, რომ ეს თემა, მხოლოდ შშმ პირების მშობლების და დღის ცენტრების საზრუნავია. კარგი იქნება, თუ ყველა გაითავისებს, რომ ეს ბავშვები ღვთის შვილები არიან, რომ ყველაზე დიდ სიკეთეს და მადლს მათთან ურთიერთობით მიიღებენ, მათი დახმარებაა სწორედ ის ღვანილი, რაც შეიძლება ცხოვრებაში ღმერთმა მოგცეს.

მზევინარ ხუციშვილი
<http://kvira.ge/>



პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უპირინო ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
ძაია ასაქმების სააგრობო ვალაყებას
„ალაძიანები ეანსხვაყუტული ქსაძლუტლოტჭით“

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ტოტემი

გიორგი ჯანელიძე



საქართველოში განხორციელებული, ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის მიზეზი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამო პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკანონმდებლო რეგულაციები. ამის გამო პარლამენტს დაევაალა, აღნიშნული რეგულაციები შესაბამისობაში მოიყვანოს როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“.

აქამდე საქართველოში მოქმედი ქმედუნარიანობის ინსტიტუტის მოდელით, რომელიც ნ თვის წინ გააუქმა საკონსტიტუციო სასამართლომ, იმ შემთხვევაში, თუ პირს ჰქონდა გარკვეული ფსიქო-სოციალური საჭიროება, დაინტერესებულ პირს შეეძლო, დაენყო წარმოება სასამართლოში და მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე შეეძლო გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ესა თუ ის პირი ქმედუნარიანი. გადაწყვეტილება მხოლოდ ამ ფორმატში შეიძლება მიღებულიყო: არის სრულად ქმედუნარიანი თუ არ არის სრულად ქმედუნარიანი. ადამიანები სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდებოდნენ ქმედუნარიანი. ეს მიდგომა არსებობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და სამართლებრივ სისტემაში საკმაოდ მყარ ცნებას წარმოადგენდა. ნელ-ნელა დაიწყო მისი გადახედვა.

ქმედუნარიანობის შემთხვევაში ადამიანებს შეზღუდული აქვთ ყველა თავისუფლება. მათ შორის, განკარგოს თავისი საკუთრება, დახარჯოს კუთვნილი პენსია, მიიღოს დაქორწინების გადაწყვეტილება და თავის პარტნიორთან შევიდეს ამ ტიპის სამართლებრივ ურთიერთობაში. ამ ადამიანებს ასევე, ეზღუდებათ შვილად აყვანის უფლება. მას არ შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, თავისი მკურნალობის თაობაზე, ის დამოუკიდებლად ვერ წყვეტს, უნდა თუ არა მკურნალობა და სტაციონარში მოთავსება და ა.შ. **ანუ ყველა უფლება, რომლითაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით ახდენენ რეალიზებას, შეზღუდული აქვთ. ძველი კანონით მათ არ ძალუძოთ, მიიღონ გადაწყვეტილება ძალიან მცირე ღირებულების ნივთის შესყიდვის ან გაყიდვის თაობაზე. ეს არის სრული შეზღუდვა ყველა სფეროში, რომელშიც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლებრივად შევდივართ და ვახდენთ მათ რეალიზებას,** განაცხადა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ სოციალური უფლებების პროგრამების ხელმძღვანელმა, **ლინა ღვინიაიძემ.** მისი თქმით, ეს მოდელი პირველად არასწორად სცნო გაეროს მიერ მიღებულმა კონვენციამ შუშ პირთა შესახებ. **„კონვენცია ამბობს, რომ ყველა ადამიანი არის ქმედუნარიანი და ქმედუნარიანობა არის აბსოლუტური უფლება. კონვენცია ამბობს, რომ შეუძლებელია, ადამიანს არ ჰქონდეს სურვილები და ნება, უბრალოდ, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არ გვესმოდეს, რა არის მისი ნამდვილი სურვილები. სავარაუდოდ, ყველას ექნება სურვილი იმისა, უნდა თუ არა დაქორწინება, მაგრამ მისი ფსიქო-სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვხედავთ მის ნებას,** განგვიმარტეს არასამთავრობო ორგანიზაციაში.

აქამდე, ქმედუნარიანობის მოდელი დაფუძნებული იყო ჩანაცვლებაზე. როდესაც სასამართლო ადამიანს აღიარებდა ქმედუნარიანად, ართმევდა მას ნების და სურვილის ქონის უფლებას, მის ამ ნებას ანაცვლებდა სხვა ადამიანის ნებით. მაგალითად, როგორც წესი, ეს არის მეურვე, მისი ოჯახის წევრი ან სახელმწიფო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მის ნაცვლად.

ახალი მოდელი, რომელსაც კონვენცია ამკვიდრებს, ამბობს, რომ ყველა ადამიანს აქვს ნება და სურვილები, მაგრამ ჩვენ უნდა დავუხმაროთ მას, მხარდაჭერა უნდა გავუწიოთ, რომ ეს სურვილი მიიტანოს კონკრეტულ ადრესატამდე. მაგალითად, იყიდოს მაღაზიაში ზუსტად ის ხილი, რომელიც მას უნდა. მან იცის და უნდა იცოდეს, როგორი ხილი უნდა მას და

ჩვენ არ შეგვიძლია ჩავანაცვლოთ და გადაწყვიტოთ თუ როგორი ხილი უნდა მას, გვისხნის ლინა ლვინიანიძე.

სახელმწიფოებმა სამართლებრივი სისტემები შეცვალეს და შექმნეს კონკრეტული სერვისები იმისთვის, რომ ადამიანების მხარდაჭერა განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ეს არის სხვადასხვა დისციპლინების სფერო, მათ შორის ფსიქიატრის, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების და იმ ადამიანების, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ტექნიკას იმისთვის, რომ ადამიანის ნება გახდეს ნამდვილი, ცხადი და გამოვლენილი.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტერმინ ქმედუუნაროს ნაცვლად სამოქალაქო კოდექსში შემოღების ცნება, „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდამჭერის მიმღები). დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, „მხარდამჭერის მიმღები„ პირი მიიჩნევა ქმედუუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება, სასამართლომ დაუნიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში.

ჩვენ შემთხვევაში მოხდა ის, რომ ეს სამართლებრივი ნორმები საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა და დაავალა პარლამენტს ახალი მოდელის შექმნა, რომელიც თანხვედრაში იქნება ადამიანის უფლებებთან. პარლამენტმა შეცვალა ეს მოდელი და მარტის თვეში მესამე მოსმენით მან მიიღო ახალი კანონი, რომელიც ქმედუუნარობის არსებულ მოდელს აუქმებს სრულად და ამბობს იმას, რომ სახელმწიფო ჩანაცვლებას აღარ განიხილავს ქმედუუნარიანობის გამოხატვის საშუალებად, სახელმწიფო გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ჩანაცვლების მოდელი გადავიდეს და შეიცვალოს მხარდაჭერის მოდელით. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო აღარ მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ქმედუუნაროდ გამოცხადების თაობაზე. სასამართ-

ლო თავისი გუნდით, რომელიც არის და უნდა იყოს დაკომპლექტებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით, მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ნაწილში სჭირდება ადამიანს მხარდაჭერა. **ეს იქნება ინდივიდუალური მიდგომა უფლებებთან მიმართებით, რაც გულისხმობს, რომ თუ კი ადამიანს ქონების განკარგვის ნაწილში შესაძლოა, სჭირდებოდეს დახმარება, მაგრამ ქორწინებაში შესვლისთვის მას არანაირი მხარდაჭერის საჭიროება არ აქვს, მისი ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასებიდან გამომდინარე. სასამართლო იტყვის, რომ სწორედ ამ ნაწილში, ცალკეული უფლებების რეალიზებისას, შესაძლოა, ეს იყოს ძალიან ბევრი ან ცოტა უფლება, მას სჭირდება მხარდაჭერა. სასამართლო განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს, სივრცეს და იმ ადამიანს, თუ ვინ უნდა განახორციელოს ეს უფლება—ეს შეიძლება იყოს ოჯახის წევრი და.შ., განაცხადეს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრში“.**

ბევრი ქვეყნის გამოცდილების თანახმად, პირის ქმედუუნაროდ აღიარების მომენტიდან მას ერთმეოდა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც კი. კონკრეტულად იმ გადაწყვეტილების, რომელმაც მას უფლებები შეუბოჭა. ასევე, მას არ ჰქონდა მისი მეურვის მხრიდან არასათანადოდ მოპყრობის შემთხვევაში, გასაჩივრების უფლება. შეზღუდვა იყო მეურვის მიერ ბენეფიციარის ქონების არასათანადოდ განკარგვის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანაზე. კანონპროექტის ინიციატორი ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი, **თამარ კორძაია,** რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“

ეს რეგულაციები არ ვრცელდება პირის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე.

ქუთაისი

ცხოვრება ბარიერების ბარეში

ქეთევან ჭილაძე

იმერეთის რეგიონული კორესპონდენტი

არიან ადამიანები, როემლთაც თავიანთი ღირსეული ცხოვრებით, საქმიანობით წარუშლელი კვალი დატოვეს. ასეთი ადამიანია ქალაქ ქუთაისის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი – ვლადიმერ თორთლაძე. მადლიერების სახლის დაფუძნებასა და საქველმოქმედო საქმიანობისთვის მას 2001 წელს ღირსების ორდენი მიენიჭა.

მისი მოღვაწეობა ასე დაიწყო: 1956 წელს ქ.ქუთაისში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლა. სწავლა ქ.გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. თავდაპირველად, ქ.ქუთაისში განთლების განყოფილების მეთოდისტიად მუშაობდა. 1986 წელს ავიაკატასტროფაში მოხვდა და ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რის გამოც მისი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. აქედან მოყოლებული, ცხოვრება და საქმიანობა მთლიანად შშმ პირებს დაუკავშირა. ჰყავს მეუღლე, 2 შვილი, ქალ-ვაჟი და 3 შვილიშვილი. იგი არასამთავრობო სექტორშიც მოღვაწეობს.

ბატონო ვლადიმერ, როდის დაარსდა თქვენი ორგანიზაცია?

ჩვენი ორგანიზაცია 1990 წელს დაარსდა, რომელშიც 350 შშმ პირია განევრიანებული.



მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი (მე-2)ჯგუფი არის -7235
მე3-ჯგუფი არის -890

ბატონო ვლადიმერ, ქალაქში ძალიან ბევრი პრობლემაა ინფრასტრუქტურის მხრივ, ფაქტიურად ქალაქი არ არის ადაპტირებული .რას გეგმავს ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახური ადაპტირებასთან დაკავშირებით ?

დიახ, ქალაქში არ იყო მონესრიგებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, არ არსებობდა პანდუსები, ლიფტები შენობებზე, არ არის მონესრიგებული ქუჩაზე გადასასვლელი ბილიკები, არ არის ხმოვანი შუქნიშნები ქალაქში და ადაპტირებული ტრანსპორტი. ამჟამად, თამარ მეფის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთა ქუჩაზე პანდუსი და გადასასვლელი ბილიკები გაკეთდა, პანდუსები გაუკეთდა მერიის შენობას, შშმ პირთა არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციას, ხარაზოვების სახელობის მდებარე ბაღში კულტურის ცენტრს, ასევე მე-6 საშუალოს სკოლას, 37-ე და 31-ე საჯარო სკოლებს.

სულ მოკლე ხანში „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისსა და მის ფილიალებში იგეგმება პანდუსების გაკეთება, ასევე იგეგმება მე-5 პოლიკნიკას გაუკეთდეს პანდუსი. ქალაქ ქუთაისში პანდუსების მშენებლობა სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

თუ იგეგმება ადაპტირებული ტრანსპორტის შემოყვანა ქალაქში?

2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8 ადაპტირებული ავტობუსის შემოყვანა, რომლებიც იმოდრავებენ ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით. ასევე იგეგმება ავტობუსების ყოველ გაჩერებაზე საათების დადგმა, სადაც აღინიშნება ავტობუსების მოძრაობის განრიგი.

არის თუ არა ბიუჯეტში გათვალისწინებული შშმ პირთა მიმართულებით პროექტების დაფინანსება?

დიახ, ახალგაზრდულ სამსახურში იგეგმება შშმ პირთა ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება. ასევე გათვალისწინებულია თანხები სპორტის სამსახურში შშმ პირთა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებებისათვის.

თქვენი აზრით, როგორია შშმ პირთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება?

სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდანაც მიდგომა იყო არასწორი შშმ პირების მიმართ, თუმცა ბოლო დროს დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

ბატონო ვლადიმერ, რას გვეტყოდით შშმ პირთა დასაქმებაზე, რა უნდა გაკეთდეს მათი დასაქმებისთვის?

დასაქმება ძალიან დიდი პრობლემაა მთლიანად საქართველოში, განსაკუთრებით, შშმ პირების. მიუხედავად ამისა, წლებანდელი ქალაქის ბიუჯეტში, კერძოდ 2 პუნქტი არის ახალგაზრდული პროგრამა, რომელიც პირდაპირ არის მიმართული შშმ პირების ინიციატივებსა და პროგრამებზე. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ შშმ პირთა დასაქმებამ ასახვა ჰპოვა წლებანდელ ბიუჯეტში.

მომავალი წლის ბიუჯეტში, რომელიც ფორმირებას დაიწყებს აგვისტო-სექტემბრის თვიდან აუცილებლად გაზრდილი იქნება შშმ პირთა ინიციატივების დაფინანსება.

გმადლობთ ბატონო ვლადიმერ, ყურნალი „იმედი+“ის სახელით წარმატებებს გისურვებთ!

ტაცდმ მთაცყუა უეცოდ დატრნილი შშმ პიტუკლასელი სკოლის დიტრნიამ

ანა ბარიძე



„ჩემი შვიდი წლის შვილი ცერებრალური დამბლით არის დაავადებული და სკოლაში ვერ დამყავს, რადგან ეტლი არა აქვს- ეს სიტყვები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფო მგელაძის ქუჩაზე მცხოვრებ ქალბატონ ია მეგრელიშვილს ეკუთვნის, რომელიც ერთოთახიან ბინაში საცხოვრებლად შეულღესთან და 2 შვილთან ერთად სოფელ გულიან-იდან 2 წლის წინ გადმოვიდა.

ადგილზე მისულთ მდგომარეობა მართლაც საგანგაშო დაგვხვდა, პატარა, რომელსაც ბავშვობიდანვე ცერებრალური დამბლით არის დაავადებული, სავარძლის უქონლობის გამო ცივ და ნესტიან იატაკზე მთელი ტანით დახობავს, რადგან მშობლებს ლუკმა-პურის საშოვნელად ხშირად გარეთ უწევთ გასვლა.

„ძალიან გვიჭირს. ჩვენი შემოსავალი სოციალური დახმარება და შვილის პენსიაა, რომელიც არაფერში გვყოფნის. ჩემი მეუღლე ფერმაზე მომვლელად მუშაობს, მაგრამ იქედანაც არაფერია. მე სად ვიმუშავებ, ავადმყოფი შვილი ვის დავუტოვო? ხშირად უფროს შვილს დღე სკოლაში ვერ ვუშვებ და მას ვუტოვებ“, – გვიყვება თვალცრემლიანი ქალბატონი.

როგორც მისგან გავიგეთ, ოჯახი მართალია სოციალურს იღებს, მაგრამ ის ძირითადად იმ სესხის დაფარვას ხმარდება, რომელიც ერთოთახიანი ბინის შეძენისთვის გამოიტანეს. როგორც ოჯახის მეპატრონეები აცხადებენ, მართალია წვიმა არ აწუხებთ, თუმცა კარებისა და ფანჯრების უქონლობის გამო, სახლში მუდმივად სიცივეა.

„პრაქტიკულად უფულოდ ვართ. 300 ლარი კიდევ მაქვს დარჩენილი მეპატრონის. ერთ ოთახში ვცხოვრობთ. ერთია, რომ ზემოდან წყალი არ ჩამოგვდის. სხვა მხრივ პრობლემები გვაქვს. ფანჯრები დამპალია. კარებიც ასეთ დღეშია. ქარიან ამინდში ოთახს ვერ ვათბობთ, ყველა მხრიდან სიცივე შემოდის. შეშას მოვიხმართ და იმით გავვაქვს თავი. მე მოვითმენ ამ სიცივეს, მაგრამ ჩემმა შვილებმა რა ქნან. უფროსი 10 წლის არის, პირველ საჯარო სკოლაში სწავლობს. კარგი ბავშვია, მე-

მარება ყველაფერში. მიუხედავად ასაკისა, შეშისთვისაც კი დადის. მეორე 7 წლისაა. დაბადებიდან ცერემრული დამბლით არის დაავადებული. მას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს. პატარა რომ იყო, თბილისში იაშვილის კლინიკაში მყავდა გამოკვლევებზე. მითხრეს, რომ ოპერაცია სჭირდებოდა, რომელიც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. რა მექნა?! ვუყურებ ასე ჩემს შვილს და ვარ. შარშან მასაჟები გავუკეთე და შედეგანი გამოდგა. ურეკში მაგნიტური ქვიშაც კარგია, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ დამყავს. გონებრივად კარგად არის განვითარებული. სკოლაშიც დამყავდა, მაგრამ ეტლი არ გვაქვს და ამის გამო შევწყვიტეთ სწავლა. მითხრეს მასწავლებელი სახლში მოაკითხავსო, მაგრამ ერთის მეტი არ მოსულა. მიზეზი ვიკითხე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

ქალბატონი ია ამბობს, რომ ერთჯერადი დახმარების მოთხოვნით განცხადება ჯერ კიდევ არჩვენებამდე დაწერა გამგეობაში, მაგრამ იქიდან არავინ გამოსმაურებია.

„ხან რას დამპირდნენ, ხან რას, მაგრამ რეალურად არავინ დამხმარებია. ამ ორიოდე წლის წინ ეტლი მოგვცეს ბავშვისთვის, მაგრამ დიდი კაცის ზომაა. პრაქტიკულად, ვერ ვიყენებთ. ამბობენ, ათასი ორგანიზაცია არის, რომელიც ცერებრალური დამბლით დაავადებულებს ეხმარებაო. ჩემამდე არავის მოუღწევია. ჩემს პატარას წამლები სჭირდება, მაგრამ ამის საშუალება არ არის. ვინმე ღვთისნიერი თუ გამოჩნდება და დამეხმარება, მაღლობას ვეტყვი. ტანსაცმელიც კი არავის მოუცია, ფულად დახმარებაზე რომ არ ვილაპარაკო?. განაცხადა ია მეგრელიშვილი.

„ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი თამაზ კილაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ პედაგოგი სამეცადინოდ ბავშვს სახლში აკითხავს და მშობლის მიერ ზემოთ ნათქვამი ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება.

„ეს ბავშვი გახლავთ ჩვენი სკოლის აღსაზრდელი და ის არის პირველი კლასის მოსწავლე. თავდაპირველად ბავშვის ეტლის მეშვეობით სკოლაში მოყვანას ახერხებდნენ, თუმცა მერე ვიცი, რომ ეტლი მოძველებული იყო და რომ სწორედ მისი არქონის გამო, ის სკოლაში ვეღარ მოიყვანეს. ამიტომ ჩვენ დანებებითი კლასის მასწავლებელს ვთხოვეთ, რომ კვირაში ორჯერ ბავშვთან მისულიყო ოჯახში. შეგიძლიათ თავად მასწავლებელსაც კითხოთ, ის მეუბნება რომ დადის. თუმცა ჩვენთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ სკოლაში დადიოდეს, ეს ბავშვისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ჩვენ ასეთი ბავშვი გვყავს სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების, მაგრამ სწავლობს ნორმალურად. უბრალოდ

არის ის პრობლემა, რომ ბავშვს არ აქვს სავარძელი, რომლითაც ის შეძლებს სკოლაში სიარულს. გარდა ამისა, ჩვენ არ გვყავს ძიძა, ბავშვს ხომ ინდივიდუალური მოვლა უნდა. შევთავაზებთ, მას იქვე ახლოს სასულიერო გიმნაზიაა, სადაც მას ეს პრობლემა მოეხსნებოდა თუმცა მშობელს უნდა რომ ბავშვმა სკოლაში ჩვენთან იაროს. ამიტომ როცა მშობელი ლაპარაკობს, რომ პედადოგი ოჯახში არ დადის, მე მას ვუთარი, რომ ყოველი მისი მისვლა დააფიქსიროს ხელნერით და ეს პრობლემაც აღარ იქნება „ _ დასძინა სკოლის დირექტორმა. თავად დაწყებითი კლასის პედაგოგი მაკა ჩხაიძეც მსგავს ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ის კვირაში ორჯერ ოჯახში მისვლას ახერხებს. „როგორ არა დავდივარ. ხვალ ვაპირებ კიდევ მისვლას. ერთხელ თავად მშობელმა მომაბრუნა უკან, არეული ვარ და ხვალ მოდიო. საერთოდ კი მინდა გითხრათ, რომ ვი-

ცი არსებობს ინკლუზიური სწავლების პროგრამა და ეს ჩვენთან რატომ ვერ ხერხდება ვერ გეტყვიო, _ დასძინა პედაგოგმა.

სოციალური მომსახურების ლანჩხუთის სააგენტოს ხელმძღვანელი მაკა გოგიჩაიშვილი ჩვენთან სატელეფონო საუბარში აცხადებს, რომ მოისწრაფიშვილის ოჯახს მათთვის განცხადებით არ მიუმართავს: „ჩვენთვის ქალბატონ ია მეგრელიშვილს არ მოუმართავს და განცხადება არ შემოსულა. საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება პრობლემა არ იქნება, _ დასძინა გოგიჩაიშვილი. აქვე დავძენთ, რომ ოჯახს საჩუქრად სავარძელი ამ მასალის გასვლის შემდეგ გია ჩხაიძემ გადასცა. თუმცა ეს სავარძელი 17 წლის ბავშვისთვისაა განკუთვნილი და ბავშვი მას ვერ იყენებს.

<http://guriismoambe.com/?m=68&news-id=9362>

შშმ ბავშვის ინტერესები და ბიუროკრატია

სოფო ავციანური



საქართველოში დაახლოებით 9 ათასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია. მათგან 618, 6-დან 18 წლამდე ბავშვი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობს. 12 დღის ცენტრი თბილისშია, 25 - სხვადასხვა რეგიონში.

დღის ცენტრების სიმცირისა და მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის არქონის გამო, რამდენიმე რეგიონში ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი დღის ცენტრის მომსახურების გარეშე რჩება.

სახელმწიფოს არ აქვს სისტემური მიდგომა, რომლითაც ბავშვების საჭიროებების მიხედვით დღის ცენტრების რაოდენობასა და მათი რეგიონული განაწილების პოლიტიკას განსაზღვრავს.

დღის ცენტრის გახსნა საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია. თუმცა მისი ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ ცენტრი სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. სწორედ სტანდარტების შემონახვის შემდეგ წყდება, დააფინანსებს თუ არა სახელმწიფო ცენტრის ბენეფიციარებს (სოციალურად დაუცველი შშმ ბავშვებისთვის 100%-იანი დაფინანსებით გაიცემა 11 ლარიანი ვაუჩერი, მძიმე შშმ ბავშვებისთვის - 18-ლარიანი. დანარჩენ ბენეფიციარებს ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონი 75%-ით უფინანსდება).

ეს სტანდარტები სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს, მაგალითად, ცენტრის გახსნის ინიციატორმა სამინისტროს უნდა წარუდგინოს გეგმა, რომლითაც ბავშვებს მოემსახურებიან. ფართი უნდა იყოს ადაპტირებული, პანდუსით, სველი წერტილებით, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი და ა.შ.

აღნიშნული სტანდარტების დაუკმაყოფილებლობის გამო საგარეჯოს რაიონში 2014 წლის დეკემბერში გახსნილი და ოფიციალურად რეგისტრირებული დღის ცენტრი „მზე სწორად მოეფინების“ გახსნიდან ერთ თვეში დროებით დაიხურა. ამ პერიოდის განმავლობაში ცენტრში რაიონის სხვადასხვა სოფლიდან 7-მდე შშმ ბავშვი დადიოდა.



საბავშვო ბალის შენობაში ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მათ ორი ოთახი და ტრანსპორტირების თანხები გამოუყო. დღის ცენტრის გახსნის ინიციატორი ფსიქოლოგი და თერაპევტი, სოფო წიგნაძე იყო.

მასთან ერთად ცენტრის გახსნისთვის ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების პროცესში თავად შშმ ბავშვების მშობლებიც იყვნენ ჩართული. თუმცა თითოეული მათგანი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს და დღის ცენტრის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ფინანსური რესურსი არ აქვთ.

ქეთინო თოდაძე შეზღუდული შე-

საძლებლობის მქონე 13 წლის ლევანის დედაა.

ლევანი რეინტეგრირებული ბავშვების პროგრამაშია ჩართული. 4 წლის წინ, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, მშობლებმა მუშაობა მინდორში მწყემსად დაიწყეს. სახლი არ ჰქონდათ, ამიტომ ოჯახმა ლევანი წყნეთის ბავშვთა სახლში მიაბარეს.

სოფელ გიორგინმინდაში მათ თანასოფელმა ერთი ოთახი დაუთმო და ამის შემდეგ ოჯახმა ბავშვი უკან დაიბრუნა. ახლა სოფელში ლევანი მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მამაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს სტატუსით სარგებლობს. ლევანი მსუბუქი სახის ინტელექტუალური შეზღუდვის მქონეა და სკოლაში დადის. სექტემბერში ის მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა შეამოწმა და სპეციალური მასწავლებლის დანიშვნას შეჰპირდა, თუმცა ლევანის სკოლაში ჯერჯერობით სპეცმასწავლებელი არ ჰყავთ.

სკოლის პარალელურად ლევანი, დახურვამდე საგარეჯოს დღის ცენტრშიც დადიოდა.

